


240
1960

საქართველოს სახელმწიფო მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИИ



აკად. ს. ჯანაშიას სახელობის
საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის

მ თ ე მ ბ ე

В Е С Т Н И К

Государственного музея Грузии

им. акад. С. Н. Джанашия

XX-A

194

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР



აკად. ს. ჯანაშიას სახელობის

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის

მ თ ა მ ბ ე

В Е С Т Н И К

Государственного музея Грузии

им. акад. С. Н. ДЖАНАШИЯ

XX-A

0158


მიძღვნილია საქართველოში საბჭოთა სელისუფლების
დამყარების 40 წლისთავისადმი

*Посвящается 40-ой годовщине установления
Советской власти в Грузии*



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა
ИЗДАТЕЛЬСТВО АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

თბილისი — 1960 — ТБИЛИСИ



მუზეუმის საბუნებისმეტყველო განყოფილებაში საბჭოთა საქართველოს ორმოც წლისთავზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას 40 წელი უსრულდება. ჩვენი ხალხი უდიდესი აღფრთოვანებითა და შრომითი აღმავლბით ეგებება თავისი რესპუბლიკის ღირსშესანიშნავ იუბილეს. 1921 წლის თებერვალში საქართველოს მშრომელებმა დიდი რუსი ხალხის უანგარო, ძმური დახმარებით დაამხეს მენამულეებისა და კაპიტალისტების ბატონობა და წარმატებით შეუდგნენ სოციალისტურ მშენებლობას.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარება უდიდეს გარდატეხას მოასწავებდა ქართველი ხალხის ისტორიისათვის, მისი ბედ-იღბლისათვის. მან ბოლო მოუღო მშრომელი ხალხის სოციალურ და ეროვნულ ჩაგვრას და დასაბამი მისცა ქვეყნის მატერიალური და სულიერი კულტურის აყვავებას. დაიწყო სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სწრაფი განვითარება, ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურისა და მეცნიერების უდიდესი აღმავლბა.

ეს წარმატებანი მოპოვებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით, მარქსიზმ-ლენინიზმის ცხოველყოფელი თეორიის ქართველი კომუნისტების მიერ შემოქმედებითად გამოყენებისა და საქართველოს მშრომელი მასების თავდადებული შრომით.

გარკვეული წვლილი ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულის მატერიალური და კულტურული ძეგლების, საქართველოს სასარგებლო წიაღისეულის, ფლორისა და ფაუნის შესწავლის საქმეში შეტანილი აქვს აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს, რომელიც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შედის.

თვით მუზეუმს და, კერძოდ, მის საბუნებისმეტყველო განყოფილებებს დიდი ხნის ისტორია აქვს.

მუზეუმი, რომელიც თავდაპირველად ცნობილი იყო კავკასიური მუზეუმის სახელწოდებით, დაარსებულ იქნა 1852 წლის 5 (ახალი სტილით 17) აპრილს¹ და თავიდანვე ეთნოგრაფიული, საბუნებისმეტყველო და ისტორიული კაბინეტებისაგან შედგებოდა.

1867 წელს საბუნებისმეტყველო კაბინეტის ბაზაზე შეიქმნა სამი დამოუკიდებელი განყოფილება: გეოლოგიური, ბოტანიკური და ზოოლოგიური, რომლებიც დღემდე განაგრძობენ არსებობას.

მუზეუმის საბუნებისმეტყველო განყოფილებები ამჟამად აერთიანებენ 22 თანამშრომელს, აქედან 15 მეცნიერი თანამშრომელია, რომელთაგან 7 მეც-

¹ ი. ნ. გიორჯიანი, „კავკასიური მუზეუმის დაარსება“, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის განომცემლობა, თბილისი, 1952 წ.



ნიერებათა კანდიდატია (ი. ჩხიკვიშვილი, მ. კაპარავა, მ. ხუჭუა, ლ. შინჩალოძე, ვ. პაპავა, ტ. ანჩაბაძე, ი. ჯამბაზიშვილი); საბუნებისმეტყველო განყოფილებების თანამშრომლები სწავლობენ საქართველოს წიაღისეულს, მის შემცველ ქანებს, განამარხებულ ფაუნას, აგრეთვე თანამედროვე ფლორასა და ფაუნას. შესწავლის შედეგების გამოქვეყნება ხელს უწყობს საქართველოს მრავალფეროვანი ბუნების უხვი სიმდიდრის პოპულარიზაციას, ხოლო მოპოვებული ფაქტობრივი მასალა ამდიდრებს სამუზეუმო ფონდებსა და გამოყენებს.

საბჭოთა პერიოდში ყოველწლიურად იზრდება მუზეუმის სამეცნიერო მუშაობის ბაზა და ამასთან ფართოვდება სამეცნიერო სამუშაოთა მასშტაბებიც.

გეოლოგიური განყოფილების მუშაობა ძირითადად წარმართული საქართველოს მეზო-კაინოზოური ნალექების ფაუნის შესწავლისაკენ. ამ მხრივ დაგროვილია დიდადი მნიშვნელოვანი მასალა, რასთანაც დაკავშირებით საქართველოში შეიქმნა სტრატეგრაფიული საკითხების დაზუსტება და მეზო-კაინოზოური ნალექების ფაციესების შესწავლა (ლითოლოგია), რაშიც მუზეუმის კოლექტივს გარკვეული წვლილი აქვს შეტანილი.

პალეონტოლოგიის დარგში ჩატარებული სამუშაოებიდან აღსანიშნავია მცირე კავკასიონის ზოგიერთი რაიონის ნამარხი ფორამინიფერების შესწავლა. ამ მხრივ საგულისხმოა: აღწერები ახალციხის მესამეული აუზისა, აქარათრიალეთის ქედის ზედა ცარცული და ეოცენური ნალექების პლანქტონური და ბენთოსური ფორამინიფერებისა (მ. კაპარავა). ზემოხსენებულ საკითხებზე მუშაობა დღესაც მიმდინარეობს. ნამარხი ფორამინიფერების შესწავლის საფუძველზე ახალციხის მესამეული აუზისა და თრიალეთის ქედის ზედა ეოცენური ნალექებში გამოყოფილია სამი მიკროფაუნისტური ჰორიზონტი, ესენია: პლანქტონური ფორამინიფერების, კონგლობატუსიანი და ბოლივიანიანი ჰორიზონტები (მ. კაპარავა). დადგენილ იქნა თრიალეთის ჩრდილო ფერდის ბოლივიანიანი ჰორიზონტის ზედა ეოცენური ასაკი (მ. კაპარავა, ი. კაპარავა). აქარათრიალეთის ფლიშური და ვულკანოგენური ნალექებში პირველად გამოიყო ოთხი მიკროფაუნისტური ჰორიზონტი: კრასატიანი, არაგონენზისიანი, ველასკონენზისიანი და კრასაფორმისიანი; ამათგან პირველი მიეკუთვნება პალეოცენს, მეორე—ქვედა ეოცენს, ხოლო მესამე და მეოთხე—შუა ეოცენს (მ. კაპარავა). მ. კაპარავამ და მ. ფოფხაძემ დააზუსტეს გუმბათის მიდამოების ფლიშური ნალექებისა და აქარათრიალეთის ფერადი წყების სტრატეგრაფია (უკანასკნელი—მიკროფორამინიფერების მიხედვით).

აღსანიშნავია, რომ მ. კაპარავას შრომა (ი. კაპარავასთან თანაავტორობით) „Датский ярус Грузии и его аналогичные отложения в Средиземноморской провинции“ იბეჭდება კოპენჰაგენის საერთაშორისო გეოლოგიური კონგრესის მასალებში.

ვარდა ჩამოთვლილთა, საქართველოს მუზეუმის გეოლოგიური განყოფილების თანამშრომელთა მიერ სხვადასხვა დროს შესწავლილი იყო მრავალი მნიშვნელოვანი მასალა. ასე მაგალითად, საქართველოს ცარცული და პალეოგენური ნალექებისათვის გამოიყო მხართფეხიანების სახელმძღვანელო ფორმები (მ. ფოფხაძე); ორსაგდულიანებისა და ფაუნის სხვა წარმომადგენელთა შესწავლის საფუძველზე გურიის პლიოცენური ნალექები დაიყო: პონტურ, კიპერულ და კუილინიკურ სართულებად; ქალის მიდამოების მიოცენურ ნალექებში ფაუნისტურად დადგენილ იქნა ჩოკრაკული, კარაგანული და ქვედასარმატული ნალექები (გ. ჭელიძე).

უნდა აღინიშნოს, რომ პირველი შრომა ქართულ ენაზე სტრატეგია ფიის დარგში ჩვენს მუზეუმში დამუშავდა და იგი ეკუთვნის ნ. ყიფიანს (დასავლეთ საქართველოს გეოლოგიური მასალები, „საქართველოს მუზეუმის მოამბე“, ტ. I, 1922). ამავე მკვლევარმა სამეგრელოში პირველმა აღნიშნა ფაუნისტურად დახასიათებული: კიმერული, პონტური, შუა და ქვედა სარმატული, ფოლასიანი, სპანიოდონტელიანი და ჩოკრაკული ჰორიზონტები. სტრატეგრაფიული ხასიათის შრომებიდან აღსანიშნავია აკადემიკოს ა. ჯანელიძის ნარკვევი წვისის კალოვიურის შესახებ („საქ. მუზეუმის მოამბე“, ტ. V, 1928).

შესწავლილია და გამოქვეყნდა საქართველოს ზოგიერთი რაიონის მხარეთმცოდნეობის მხრივ აღსანიშნავია საქართველოს ცარცულის და პალეოგენური მხარეთმცოდნეობისა და დალისტინის ცარცულის ზოგიერთი მხარეთმცოდნის მასალა (მ. ფოფხაძე). მოლუსკებიდან შესწავლილია გურიის ქვედა და შუა პლიოცენური ორსავდღულიანები (გ. ქელიძე). გარდა აღნიშნულისა შესწავლილია სამურზაყანოს ზედა მიოცენური ფაუნის ზოგიერთი წარმომადგენელი (ი. კაპარავა) და საქართველოს ზედა ცარცულის ექინოიდები და ბელემნოიდები (ი. რუხაძე, ი. ხეჩინაშვილი).

გეოლოგიური განყოფილების მეცნიერი თანამშრომლები სწავლობენ სხვადასხვა დროს ექსპედიციებისა და მივლინებების შედეგად მოპოვებულ მასალებს და პერიოდულად აქვეყნებენ მასალათა აღწერილობას. ასე მაგალითად, გამოქვეყნებულია: მიოცენური ანტილოპების აღწერილობა ურმიისა და უდაბნოს მიოცენური ნალექებიდან (ე. გაბაშვილი). უმაღლესი ადამიანის მსგავსი მაიმუნის *Udabnopithecus garedziensis*-ისა (ნ. ბურჩაქ-აბრამოვიჩი და ე. გაბაშვილი), *Elephas primigenius*-ისა დუშეთის მეოთხეული ნალექებიდან, მილაკებილიანი — *Orycteropus gaudri F. M.* ურმიის (რუხაძე) მიოცენური ნალექებიდან (ნ. ბურჩაქ-აბრამოვიჩი) და დინოთერიუმის ნაშთისა უდაბნოდან (ლ. ვაბუნია და ე. გაბაშვილი).

ჩამოთვლილი პალეონტოლოგიური მასალა გამოყენებულ იქნა შემცველი ნალექების ასაკის დადგენისათვის. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს უდაბნოს მიდამოებში უმაღლესი ადამიანის მსგავსი მაიმუნის *Udabnopithecus garedziensis*-ის პოვნისა და აღწერის ფაქტი. ეს პრიმატი თავისი ნიშანთვისებებით განსხვავდება დღემდე აღწერილ როგორც ნამარხი, ისე თანამედროვე ადამიანის მსგავსი მაიმუნებისაგან და მის პოვნას მნიშვნელობა აქვს ადამიანის მსგავსი მაიმუნების ცხოვრების არეალის დასადგენად (შრომა გამოქვეყნებულია „საქართველოს მუზეუმის მოამბის“ VIII-A ტომში 1946 წელს და „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბის“ VI ტომში—1945 წელს, ავტორები: ნ. ბურჩაქ-აბრამოვიჩი და ე. გაბაშვილი).

გარდა ამისა, აღწერილია უდაბნოსა და ელდარის მიდამოების გეოლოგია, ხერხემლიანთა ფაუნის განამარხების პირობების განხილვით ამ რაიონებში; შესწავლილია რიონისა და ჯეჯჯორის აუზების თანამედროვე მყინვარები და ძველი გამყინვარების ნიშნები (დ. წერეთელი).

გეოლოგიური განყოფილების თანამშრომელთა მიერ დამუშავებული საკითხები გამოყენებულია სპეციალური ხასიათის მონოგრაფიების შედგენისას, ხოლო ექსპედიცია-მივლინებების დროს შეგროვილი ფაქტობრივი მასალის საფუძველზე შექმნილია გეოლოგიური გამოყენები: პალეონტოლოგიური საქართველოს სასარგებლო ნამარხებისა, დინამიკური და ისტორიული გეოლოგიის.



ბოტანიკური განყოფილების მუშაობა ძირითადად წარმართული საქართველოს ველური ფლორის შესწავლისაკენ, —სოფლის მეურნეობაში მისი გამოყენების თვალსაზრისით. განსაკუთრებით განახვილდა ყურადღება ფლორისტულად ნაკლებ-ან სრულიად შეუსწავლელი რაიონების შესწავლაზე. ამ მხრივ განყოფილებას ბევრი რამ აქვს ვაკეთებული. ასე მაგალითად: დეტალურადაა შესწავლილი ქართლის, კერძოდ, თბილისის მიდამოების ფლორა (ბ. შიშკინი), რის საფუძველზედაც გამოიკა თბილისის მიდამოების ფლორის პირველი ნაწილი (ა. გროსჰეიმი, დ. სოსნოვსკი და ბ. შიშკინი).

კვლევისა და მასთან დაკავშირებული ექსპედიცია-მივლინებების ჩატარებისას დაგროვილია ფაქტობრივმა მასალამ დასაბამი მისცა განყოფილებაში საქართველოს ჰერბარიუმის შექმნას, რომელიც წლიდან-წლამდე იზრდება და ფართოვდება. მეცნიერებისათვის გამოვლინდა და დადგინდა მცენარეთა ახალი სახეები, რომელთა დედანი ნიმუშები—ტიპები—დაცულია ბოტანიკური განყოფილების ფონდში.

აღსანიშნავია მუზეუმის ერთ-ერთი ძველი თანამშრომლის ე. ქიქოძის ნოღეაწრობა, რომელმაც დეტალურად შეისწავლა ქართლის, განსაკუთრებით თრიალეთის ქედის ჩრდილო ფერდობების, გარეჯის უდაბნოსა და მესხეთის ფლორისტული კომპლექსები. ე. ქიქოძის მონაცემებით მრავალი მცენარის გავრცელების არეალი დაუხსტდა (მაგალითად: *Nitraria Schoberi*, *Suchtelenia calcinea*, *Cirsium sinuatum* და სხვ.), ამ მეცნიერის მიერ შეგროვილი ფაქტობრივი მასალის საფუძველზე დადგენილია მცენარეთა ახალი სახეები: *Astragalus Kikodziannus*, *Astragalus Tanae* და სხვა (დ. სოსნოვსკი). ფლორისტული თვალსაზრისით გამორკვეულია მცირე კავკასიონის ნაწილი [აქარა-იმერეთის ქედი (პ. მაგლობლიშვილი)]. მცენარეული რესურსების გამოვლინებისა და მისი სახალხო მეურნეობაში გამოყენების მიზნით შესწავლილია საქართველოს გარეული ცერცვლები და ველური ხილი (მ. ექვთიმიშვილი, მ. მელიქიშვილი).

საბჭოთა პერიოდში ერთიორად გაიზარდა ბოტანიკური ფონდის საჰერბარო ნიმუშები. თუ 1921 წლისათვის მათი რიცხვი 50 000 შეადგენდა, 1960 წლისათვის ეს რიცხვი 110 000-მდე აღწევს. სულ ბოტანიკურ განყოფილებაში 11 სხვადასხვა ჰერბარიუმი. ფონდი მეცნიერულად დამუშავებულია და სათანადოდ დაცული.

ბოტანიკური ფონდის საჰერბარო მასალიდან აღსანიშნავია ფონდის უძვირფასესი განძი—კავკასიური ფლორის ავთენტური ნიმუშები, ე. ი. ეგზემპლარები, რომლის მიხედვით მოხდა მცენარის პირველი მეცნიერული აღწერა. ავთენტური ნიმუშების გამოვლენასა და აღწერაზე დიდი და მეტად შრომატევადი მუშაობა წარმოებს (ვ. პაპავა). ჩატარებული მუშაობის შედეგად გამოვლინებულ იქნა 300-ზე მეტი ავთენტური ნიმუში მუზეუმის ბოტანიკურ ფონდში. აღნიშნული სამუშაო დიდ სამსახურს გაუწევს ბოტანიკოს-სისტემატიკოსებს.

გრძელდება საქართველოს ფლორის შესწავლა და დაგროვილი საფონდო მასალის მეცნიერული დამუშავება (მ. მელიქიშვილი, დ. ოჩიაური). სპოროვანი მცენარეებიდან შესწავლილია საქართველოს მიკოფლორა და ბრიოფლორა (ტ. ანჩაბაძე, ი. დილვესკია). შედგენილია მუზეუმის მიკოლოგიური მასალის

კატალოგი (ტ. ანჩაბაძე). დამუშავებულია ხავსებისა და სოკოების საპერბარო მასალა (ი. დიღვესკაია, ტ. ანჩაბაძე).

წლების მანძილზე წარმოებდა მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში (ამჟამად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი) ფონდების მიკოფლორით დაზიანების შესწავლა. კვლევას შედეგად გამოვლინდა ქალაქის დამშლელი სოკოები, შემუშავდა და ჩატარდა მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები ხელნაწერთა დაცვის მიზნით. ამ საკითხთან დაკავშირებით სპეციალური ნაშრომიც კია გამოქვეყნებული: „ქალაქის დამშლელი სოკოები და მათ წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებანი“ (ტ. ანჩაბაძე).

საბჭოთა პერიოდში ბოტანიკური განყოფილების ორნა თანამშრომელმა მოიპოვა კანდიდატის ხარისხი (ვ. პაპავა, ტ. ანჩაბაძე). ამჟამად პერიოდში განყოფილებაში დამუშავდა 50-მდე მეცნიერული ნაშრომი, რომელთაგან დღემდე დაბეჭდილია 42, ამათგან 4—მონოგრაფიული ხასიათისაა.

ამჟამად ბოტანიკური განყოფილების უმთავრესი ამოცანაა მუდმივი ბოტანიკური გამოფენის მოწყობა, სადაც სრულად აისახება საქართველოს ფლორა, მეცნარეულობა და მისი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა.

ზოოლოგიური განყოფილების მუშაობა წარმართულია საქართველოს ფაუნის შესწავლისაკენ.

განყოფილების მეცნიერ თანამშრომლებს მრავალ მნიშვნელოვან ექსპედიციაში მიუღიათ მონაწილეობა. ექსპედიცია-მივლინებების დროს დაგროვილი ფაქტობრივი მასალა ინახება განყოფილების ფონდში და გამოიყენება მუზეუმის ერთ-ერთი უძველესი და მეტად მნიშვნელოვანი გამოფენის შესავსებად.

ამჟამად განყოფილების ფონდებში დაცულია 481 ათასამდე ეგზემპლარი, რომელთაგან უდიდესი ნაწილი ენტომოლოგიურ მასალას წარმოადგენს.

ზოოლოგიური განყოფილების მეცნიერი თანამშრომლების მიერ შესწავლილია რიგი ცხოველთა ჯგუფები. ასე მაგალითად, დეტალურადაა შესწავლილი ჩაის კულტურის მავნე ენტომოფაუნა და დასახულია ღონისძიებები მასთან ბრძოლისა (ი. ჯამბაზიშვილი); შესწავლილია საქართველოს ქერქიჰამიების ფაუნა, რის საფუძველზედაც დადგენილია ახალი სახის ქერქიჰამია *Hypathenemus lezhavai* (ვლ. ლეკავა). ენტომოლოგ ი. ჯამბაზიშვილის მიერ შესწავლილია კამელიის იაპონური ფარიანა და დადგენილია მისი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა (თბილისი, 1958 წ.). ენტომოფაუნის შეცნობის თვალსაზრისით შესწავლილია მაღალმთიანი ხულოს რაიონი (ი. ჯამბაზიშვილი), გამოკვლეულია ლაგოდეხის ქერცლფრთიანების სისტემატიკა და ზონალურ-გერტიკალური გავრცელება (ე. დიდმანიძე). განსაკუთრებით აღსანიშნავია ზოოლოგიური განყოფილების ენტომოლოგიური კაბინეტი, რომელსაც მაღალი შეფასება მისცეს საკავშირო ენტომოლოგიური საზოგადოების III კონფერენციის მონაწილე გამოჩენილმა სპეციალისტებმა (1957 წ.).

ხერხემლიანებიდან უკეთ შესწავლილია ორნითოფაუნა (ფრინველები). ამ მხრივ აღსანიშნავია შემდეგი შესწავლილი რაიონები: ჯავახეთი, დუშეთის რაიონი, ხევსურეთი, კახეთი (ი. ჩხიკვიშვილი), სუბტროპიკული რაიონებისა და ქართლის ბელურასნაირები (ლ. ჩინჩალაძე), მცირე კავკასიონის (გორი, ბორჯომი, ბახმარო, თბილისი) და ლაგოდეხის ფრინველები



(რ. ჟორდანია). შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ორნითოფაუნის შესწავლა ძირითადად ხდება მუზეუმის ზოოლოგიური განყოფილების მშრომელთა მიერ.

აღსანიშნავია შემდეგი ორნითოლოგიური ხასიათის ნაშრომები: „საქართველოს ფრინველები“ (ი. ჩხიკვიშვილი, „საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე“ XIV-A). „Zur Biologie der Mehlschwalbe in Georgien“ (რ. ჟორდანია, „Der Falke“ № 4, 1958), „ქართლის ბელურასნაირი ფრინველები და მათი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა“ (ლ. ჩინჩალაძე, 1958). მზადდება გამოცემად მუზეუმის ფრინველების ფონდების კატალოგი (ი. ჩხიკვიშვილი, ლ. ჩინჩალაძე და რ. ჟორდანია).

აღსანიშნავია, რომ ზოოლოგიური განყოფილების თანამშრომლებს გარკვეული წვლილი მიუძღვით აგრეთვე ქართული მეცნიერული (ზოოლოგიური) ტერმინოლოგიის დადგენაში. ამ მხრივ საგულისხმოა შრომები: „საქართველოს ხერხემლიანთა ნომენკლატურა“ (ი. ჩხიკვიშვილი) და „საქართველოს ფრინველების ტერმინოლოგიური ლექსიკონი—ლათინური, ქართული, რუსული და გერმანული ნომენკლატურა“ (რ. ჟორდანია).

გარკვეული წვლილი აქვთ შეტანილი მუზეუმის ზოოლოგიური განყოფილების თანამშრომლებს საქართველოს ძუძუმწოვრების შესწავლაშიც. ამ მხრივ აღსანიშნავია რ. ავალიანის შრომა „ხულოს რაიონის ძუძუმწოვრების შესწავლისათვის“, რომელშიაც ავტორის მიერ აღწერილია პრომეთეოსის ზეგულბრივი და თოვლა მემინდვრიები, რასაც მნიშვნელობა აქვს ამ ცხოველების გავრცელების არელების დადგენისათვის; ამათგან პრომეთეოსის მემინდვრია აღნიშნულია ამ რაიონში პირველად, ხოლო დანარჩენები კი—პირველადაა ნაჩვენები აქარისათვის საერთოდ. შესწავლილია აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული ველის მელის ეკოლოგია (რ. ავალიანი), კავკასიური ირმის საქართველოში გავრცელება (ა. ჯანაშვილი), მუზეუმის ფონდებში დაცული ქვეწარმავლების და ამფიბიების ზოგი მასალა (გ. როსტომბეკოვი). იბეჭდება ამფიბიების ფონდის ამსახველი კატალოგი (რ. ჟორდანია). საყურადღებოა თბილისში აღმოჩენილი ქვეწარმავლის საქართველოსათვის უცნობი სახე—გეკონი (ლ. ჩინჩალაძე).

განყოფილებაში მუშაობდნენ ტაქსიდერმიის მაღალკვალიფიციური ოსტატები (კ. კრელი, გ. გოგილაშვილი), რომლებსაც გარდა მრავალრიცხოვანი სამონტაჟო სამუშაოებისა, შესრულებული აქვთ სპეციალური ხასიათის ნაშრომებიც (იხ. მაგ.: გ. გოგილაშვილი „ცხოველების ძვლების მზადების ტექნიკისათვის“, „მასალები ჩონჩხის აკინძვის შესწავლისათვის“).


განსაკუთრებით აღსანიშნავია ზოოლოგიური გამათენა (პირველმოწყობნი: ი. ჩხიკვიშვილი, კ. კრელი და ი. ვეფხვაძე), რომელიც მზახელთა და გამოჩენილ სპეციალისტთა დიდ მოწონებას იმსახურებს.

აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლები სისტემატურად მონაწილეობენ საკავშირო მასშტაბის კონფერენციებში და ყრილობებში. ასე მაგალითად: ტ. ანჩაბაძე მონაწილეობდა ამიერკავკასიის მიკოლოგიური საკოორდინაციო კონფერენციისა (1958) და ფლორის შესწავლისა და სარკვევების შედგენაზე მოწვეული საკავშირო საკოორდინაციო თათბირის მუშაობაში (1960 წ.). ი. ჯამბაზიშვილი და ე. დიდმანიძე—სრულიად საკავშირო ენტომოლოგიური საზოგადოების

IV ყრილობის მუშაობაში (1960). ზოოლოგიური განყოფილების თანამშრომლები კი პირველსა (1956—ლ. ჩინჩალაძე) და მეორე (1959—ლ. ჩინჩალაძე, რ. ჟორდანია, გ. გოგილაშვილი, ნ. სიყმაშვილი) საკავშირო ორნითოლოგიური კონფერენციების მუშაობაში.

გეოლოგიური განყოფილების თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს საკავშირო პალეონტოლოგიური საზოგადოების მესამე სესიის (1957,—მ. კაჭარავა, ე. გაბაშვილი) და საკავშირო პალეონტოლოგიური ინსტიტუტის სესიის (1957—ე. გაბაშვილი) მუშაობაში; გარდა ამისა, მ. კაჭარავა მონაწილეობდა 1960 წელს გამართულ საუწყებათშორისო კომიტეტთან არსებული მულმივი სტრატეგრაფიული კომისიის მუშაობაში, ხოლო მ. ხუჭუა—თანამედროვე ნალექთა შექმნის პროცესებისადმი მიძღვნილ სესიაში (1960).

აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის საბუნებისმეტყველო განყოფილებების კოლექტივები არ დაკმაყოფილდებიან მიღწეული შედეგებით, ისინი მეტი ენერჯითა და მონდობებით იმუშავენ, რათა შეიტანონ თავიანთი წვლილი საბჭოთა მეცნიერების განვითარების საქმეში.



რ. ბახტაძე

საქართველოს ფეოდალური დროის მინების შესწავლისათვის

საქართველოს ტერიტორიაზე მინის ნაწარმი უძველესი დროიდანაა ცნობილი. ზოგიერთი მკვლევარი ეგვიპტეში 1891—1892 წწ. არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულ მასალაზე დაყრდნობით, იმ აზრისაც კი იყო, რომ უძველესი მინის ნაწარმი მესოპოტამიის ჩრდილო რაიონებიდან, ან უფრო ჩრდილოეთიდან—კავკასიიდან, უნდა იყოს შემოტანილი. მათი აზრით, აქ უნდა არსებულიყო მინის წარმოების ადრეული ცენტრი ჯერ კიდევ მანამ, სანამ ეგვიპტეში მინის წარმოება დაიწყებოდა¹.

ძნელია დარწმუნებით იმისი თქმა, რამდენად მართებულია ეს მოსაზრება, თუმცა მის სასარგებლოდ ლაპარაკობს არქეოლოგ ტ. ჩუბინიშვილის მიერ 1957 წ. ახალციხის რაიონში „ამირანის გორაზე“, არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი ღია მწვეანე ფერის მინის მძივი და თეთრი მინისებრი პასტის იოტები. აღნიშნული მინის ნაწარმი აღმოჩენილ იქნა სამარხში, რომელსაც ჩუბინიშვილი მესამე ათასწლეულის მეორე ნახევრით ათარიღებს².

გარდა ამისა, მინის მასალის სიუხვე და მრავალფეროვნება იმაზე უნდა მიგვითითებდეს, რომ კავკასია შესაძლოა მინის წარმოების ცენტრი იყო.


მინის ნაწარმი, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში შემოტანილად ითვლება და რატომღაც ეგვიპტეს, ბიზანტიას, თუ რომს მიაწერენ მის ექსპორტს, თავისი შედგენილობით სრულიად არ განსხვავდება საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი მინებისაგან; პირიქით, ეს მინები თავისი დამზადების ტექნიკით მათზე მაღლა დგას.

ა. ლუკასი თავის ნაშრომში წერს: „კობალტის შენაერთები ეგვიპტეში არ მოიპოვება, თუ არა კვალის სახით სხვადასხვა მინერალში და მისი არსებობა ეგვიპტის მინებში იმაზე უნდა მიგვითითებდეს, რომ იმ დროის ეგვიპტის მინის მწარმოებლებს კონტაქტი ჰქონდათ იმ ქვეყნების მინის მწარმოებლებთან, რომლებიც იყენებდნენ“ კობალტს. ასეთ ადგილებად მას სპარსეთს და კავკასიას მიაჩნია³.

¹ М. А. Безбородов, Стеклоделие в Древней Руси, Минск, 1956, გვ. 9.

² ტ. ჩუბინიშვილი, ახალციხის არქეოლოგიური გათხრების ანგარიში („ამირანის გორის“ 1958 წლის გათხრები), მოხსენება, წაკითხული ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე, 1959 წ. 30 მაისს.

³ А. Лукас, Материалы и ремесленные производства Древнего Египта, Москва, 1958, გვ. 303.



ვიზიარებთ რა ლუკასის ამ აზრს, კობალტის (რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ადრეული მინის ნაწარმში უხვადანა წარმოდგენილი) ნედლეულის ერთ-ერთ წყაროდ დაშქესანის კობალტის საბადო მიგვაჩინა, თუმცა არ არის გამოირიცხული ისიც, რომ კობალტი შეეძლოთ აქლოთ საქართველოს ტერიტორიაზე დღეს უცნობი საბადოდან.

როგორც ძველი მინების კვლევამ არაერთგზის დაგვანახა, აუცილებელია მათი როგორც თვისებითი, ისე რაოდენობითი შედგენილობის გარკვევა, რადგან ეს მეტად მნიშვნელოვანია მათი დახასიათებისათვის.

დამატებით ცნობებს ამა თუ იმ მინის დახასიათებისათვის იძლევა აგრეთვე მათი მიკროსკოპული ანალიზი, რომლის საშუალებით ვარკვევთ მინის გარდატეხის მაჩვენებელს, მის მიკროსტრუქტურასა და ბუშტულების შემცველობას.

უნდა აღინიშნოს, რომ მიკროსტრუქტურული გამოკვლევა იმ მინებისა, რომლებიც მეტნაკლებად კარგადაა გამოდნობილი და არ შეიცავს გაუხსნელ ნაწილაკებს, ე. ი. როდესაც მინა მთლიანად ამორფულ მასას წარმოადგენს, შედეგს არ იძლევა. მაგრამ ასეთმა კვლევამ შესაძლებელია ძვირფასი მასალა მოგვეცეს მინაზე სინესტისა და ნიადაგის ხსნარების მოქმედების შესახებ, მაგრამ ეს ცალკე კვლევის საგანს წარმოადგენს და ამეამად აქ მას არ შეეხებით.

მინაში ბუშტულების მიკროსკოპული შესწავლა საშუალებას იძლევა განისაზღვროს ნაკეთობის წარმოებისას მინის მასაში ძალს მიყენების მიმართულება (ბუშტულების ფორმა, მათი ზომა, გრძელი ღერძების მიმართულება) და მინის ტექნოლოგიური წარმოების ვარაუდი. ამრიგად, მიკროსკოპული შესწავლის ყველა სახე ქიმიურ ანალიზებთან ერთად საგულისხმო მასალას იძლევა მთლიანად მინის დახასიათებისათვის⁴.

ძველი მინების სპექტროგრაფული შესწავლა აუცილებელია ქიმიური ანალიზებისათვის საჭირო სინჯის სიმკირის გამო; ამავე დროს იგი მნიშვნელოვანი დამატებაა რაოდენობითი ანალიზის შედეგებისა.

ჩვენ ამ შრომაში მიზნად დავისახეთ საქართველოს ფეოდალური დროის მინის ქიმიური, სპექტროგრაფული და მიკროსკოპული შესწავლის შედეგების მოცემა.

ამ დროის აღმოსავლეთ საქართველოში გათხრითა თუ შემთხვევით მოპოვებულ მასალაში აღსანიშნავია მინის მრავალფეროვნება და მრავალრიცხოვნება.

VI—VIII სს. საქართველოში მინა ფართოდ გავრცელებული ჩანს, რასაც ადასტურებს თუნდაც ის, რომ ჩვენში ამ დროის მინის უკვე სამი თუ ოთხი საწარმოა ცნობილი: თბილისიდან, ნატბეურიდან, ორბეთიდან.

ჩვენ მიერ შესწავლილ იქნა ზემოაღნიშნული სამი საწარმოდან მოპოვებული მასალა და აგრეთვე სინქრონული მინის ნიმუშები: დმანისიდან, კარსნისხევიდან, ღვინიდან და უჯარმიდან.

თბილისი

1948 წელს შემოდგომა და ზამთარში თბილისში, კიროვის რაიონში, მტკვრის მარჯვენა ნაპირას ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის

⁴ M. A. Безбородов, დასახელებული ნაშრომი, გვ. 113.

მიერ 5—6-ჯერ ჩატარებული იყო არქეოლოგიური გათხრა, რის შედეგად აღმოჩენილ იქნა კერამიკული ნაწარმი (წითელკეციანი მოუქიქავი და მოქიქული და აგრეთვე ნაცრისფერკეციანი და თეთრკეციანი კერამიკა) და მინა.

ამ ნაწარმში შევხებით მხოლოდ მინის ნაწარმს, რომელიც აქ საკმაოდ უხვად და მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი. მოპოვებული მინის ნაწარმი შეიძლება ორ ჯგუფად გაიყოს: 1) ქურქელი და 2) სამაჯური⁸.

ქურქელის მინა გ. ლომთათიძის აღწერით—„საკმაოდ სუფთა და თეთრია, თუმცა ზოგჯერ მომწვანო ან მოყვითალო ელფერი დაჰკრავს. ფერადი მინის ქურქელი არ შეგვხვედრია. უმეტესობას მიწაში ირიზიცია განუცდია და ზედაპირი ექერცლება. . . . საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ მინის ქურქელი საკმაოდ მძალხარისხოვანია და ჩანს საპარფუმერო ქურქელის სახით დასპეციალებული“⁸.

„სამაჯურები მეტწილად ფერადი—ლურჯი, მწვანე, შავი, მეტნაკლებად გაუმჟვირვალე მინისგანაა გაკეთებული. არის სადა და გრებილი სამაჯურებიც“⁹.

ამ მასალიდან შესწავლილია მინის 4 სამაჯური და 6 სხვადასხვა ქურქელის ფრაგმენტი.

1. შავი მინის სამაჯური—თბილისი, „განჯისკარი“, № 1—54:514 (ანალ. № 2).

სამაჯური თოქისებრ დაგრებილია, შავი კრიალა ზედაპირით. მიწაში განუცდია მცირე ირიზაცია. ირიზაცია ოქროსფერია. მხედველობის არეში (გადიდება 17×2) ბუშტულების რაოდენობა საშუალოდ 8—10 უდრის.

ბუშტულები ელიფსური ფორმისაა. მინა გამავალ სინათლეში მოყვითალო-მოყავისფერია. ბუშტულების მიმართულება და ფორმა გვიჩვენებს, რომ მისი დამზადება ხდებოდა წკირისებრი ფორმის პლასტიკური მინის გრებივითა და შემდგომ ოვალურად მოხრილ მდგომარეობაში გაცივებით.

ქიმიური ანალიზი ასეთია: SiO_2 —58,98%,

CaO —8,27%,	$\text{Fe}_2\text{O}_3 + \text{Al}_2\text{O}_3$ —7,92%,	MgO —1,9%,
Mn_2O_3 —2,24%,	BaO —5,0%,	Na_2O —15,0%.
K_2O —1,5%,		

2. შავი მინის სამაჯური—თბილისი, „განჯისკარი“, № 1—54:1378 (ანალ. № 10). სამაჯური გლუვი, პრიალა შავი მინისაა. გამავალ სინათლეზე მინა მოყავისფერო-ყვითელია, შეიცავს ძლიერ წაგრძელებული ელიფსის ან ნემსისებრი, შუაში მცირედ გაგანიერებული ფორმის, ჰაერის ჩანართებს, რაც მის გაწელებით დამზადებაზე ლაპარაკობს.

ამრიგად, როგორც წინა სამაჯური, ისე ესეც, ძირითადად ერთი და იგივე წესითაა დამზადებული, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ პირველი დაგრებილია.

⁸ ო. ჯაფარიძე, „განჯისკარი“, 1948, არქეოლოგიური გათხრების ანგარიში, მასალები საქ. და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. I, 1955, გვ. 89.

⁹ გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური გათხრები თბილისში 1948 წ. ზამთარში, გვ. 11—119.

⁷ გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური გათხრები თბილისში 1948 წ. ზამთარში, გვ. 160.

⁸ იქვე.

⁹ იქვე.



ქიმიური ანალიზით მიღებული გვაქვს:

SiO_2 —58,39%,	Fe_2O_3 —2,02%,	CaO —9,99%,
BaO —1,90%,	MgO —1,29%,	Mn_2O_3 —3,48%,
Al_2O_3 —2,00%,	K_2O —2,5%,	Na_2O —15,0%.

შავი ფერი, ისე როგორც წინა შემთხვევაში, გამოწვეულია რკინისა და მანგანუმის შენაერთებით.

პ. სამაჯური ცისფერი მინისა—თბილისი, „განჯიყარი“, № 1—54:503 (ანალ. № 16).

სამაჯურის ზედაპირი დაფარულია სპილოსძვლისფერი გამოფიტვის ფენით. თვით მინა ცისფერია. მიკროსკოპულმა შესწავლამ დიდ გადიდებაზე დაგვანახა, რომ მინის ზედაპირი, გამოფიტული შრის მოცილების შემდეგ, უსწორმასწოროა, მაგრამ მკვრივია და აღარ იქერცლება. გაზოვანი ბუშტულეები ხშირია, როგორც წინა მინებში, ძლიერ წაგრძელებული და თითქმის პარალელურ ზოლებადაა განლაგებული მასაში. გაზოვანი ჩანართების ასეთი დიდი რაოდენობა მზა ნაწარმში, უთუოდ მინის დნობის მდარე ხარისხზე მივითითებს.

ქიმიური ანალიზით მივიღეთ:

SiO_2 —60,63%,	CaO —5,6%,	Fe_2O_3 —1,78%,
MgO —4,22%,	BaO —1,99%,	Mn_2O_3 —0,39%,
Al_2O_3 —3,00%,	K_2O —1,5%,	Na_2O —15—/20%.

გარდა აღნიშნული ელემენტებისა, სპექტრული ანალიზით აღმოჩენილ იქნა მცირედი პროცენტების რაოდენობით კობალტი და სპილენძი, რაც საკვების საკმარისი იყო ღია ცისფერი მინის მისაღებად.

4. სამაჯური შავი მინის—თბილისი, „განჯიყარი“, № 1—54:63 (ანალ. № 17).

მინა თითქმის გაუმჭვირაველია. ალაგ-ალაგ ირიზირებულია მცირედ. გარედან ვკვრის. ისევე როგორც წინა სამაჯურს, გადამბული პიტანების ფენა. მინის ფრაგმენტის (თხელი) ფერი, გამავალ სინათლეზე მოყავისფრო-ყვითელია, მთლიანად კი შავი კრიალა მინის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ქიმიური ანალიზის შედეგები ასეთია:

SiO_2 —66,34%,	CaO —6,64%,	Fe_2O_3 —2,00%,
MgO —5,70%,	Al_2O_3 —3,29%,	Mn_2O_3 —1,52%,
BaO —5,0%,	Na_2O —15,0%,	K_2O —2,0%,
		B_2O_3 —2,0%.

როგორც ირკვევა, აქაც, ისევე როგორც წინა შემთხვევაში, მინის ფერი გამოწვეულია მანგანუმისა და, ძირითადად კი, რკინის შენაერთებით.

როგორც ცხრილიდან (იხ. ცხრ. № 1) ჩანს, I და II სამაჯურის დასამზადებლად გამოყენებული ყოფილა სილიციუმის დაბალშემცველი კალციუმ-ნატრიუმის მინა. მოთავს მინისწარმოქმნელ ნივთიერებათა ჯამში I შემთხვევაში უდრის—82,25% და II შემთხვევაში კი—83,38%.

ორი უკანასკნელი სამაჯური, წინა ორი სამაჯურისაგან განსხვავებით, შედარებით მეტი რაოდენობით შეიცავს სილიციუმის ორჟანგს და ნატრიუმ-

ცარიელი

(სამაჯურები, თბილისი)

ნივთის დასახელება	SiO ₂ %	CaO% ₀	MgO% ₀	Fe ₂ O ₃ % ₀	Al ₂ O ₃ % ₀	Mn ₂ O ₃ % ₀	BaO% ₀	Na ₂ O% ₀	K ₂ O% ₀
1. სამაჯური შავი მინისა № 1—54:514	58,98	8,27	1,90		7,92	2,24	5,0	15,0	1,5
2. სამაჯური შავი მინისა № 1—54:1378	58,39	9,99	1,29	2,02	2,0	3,48	1,90	15,0	2,5
3. სამაჯური ცისფერი მინისა № 1—54:503	60,63	5,6	4,22	1,78	3,00	0,39	1,99	15—20	1,5
4. სამაჯური შავი მინისა № 1—54:63	66,34	6,64	5,70	2,00	3,29	1,52	5,0	15—20	2,0

მისა და მაგნიუმის ჟანგებს; მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი აგრეთვე მანგანუმის ჟანგიც, რომელიც წინა სამაჯურებში 2,24 და 3,42% შეადგენდა.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, გარდა სამაჯურებისა, შესწავლილ იყო სხვადასხვა ქურქლის ფრაგმენტი, როგორც თეთრი, ისე ფერადი მინისა.

5. მინის „აბაჯანა“—თბილისი, „განჯისკარი“, № 1—54:19 (ანალ. № 8), მინა მომწვანო ფერისაა, ქუჩისფერი გამოფიტვის ფენით. ნიკროსკოპში (გამავალ სინათლეზე) მინა მომწვანო-მოცისფერია, შეიცავს უამრავ ბუშტულს, რომლებიც ფორმით რამდენადმე განსხვავდება სამაჯურების ბუშტულების ფორმისაგან; აქ ბუშტულები ოდნავ წაგრძელებულია და წვეტიანი ბოლოებში. ბუშტულების ასეთი ფორმა შეიძლება მინის ნაწარმის მეორე ვახურებით იყოს გამოწვეული. საფიქრებელია, რომ პირველად მასისაგან ქურქლის ფორმირების დროს მინის ადრე გაცივების გამო საჭირო შეიქნა მისი მეორედ გაცხელება, როგორც ჩანს, შედარებით დაბალ ტემპერატურაზე.

ქიმიური ანალიზის შედეგად მივიღეთ:

SiO ₂ —59,37% ₀ ,	MgO—0,4% ₀ ,	Na ₂ O—15% ₀ ,
CaO—9,12% ₀ ,	BaO—0,68% ₀ ,	K ₂ O—3,6% ₀ ,
Fe ₂ O ₃ —1,33% ₀ ,	Al ₂ O ₃ —3,66% ₀ ,	Mn ₂ O ₃ —0,28% ₀ .


6. მინის ქიქის ნატეხი—თბილისი, „განჯისკარი“, № 58—81 (ანალ. № 9). ნიკროსკოპში გამავალ სინათლეზე მინა მომწვანო-მოცისფერია. ქურქელს პირი გადმოკეცილი აქვს. პირის გასწვრივ შეიქმნევა ელიფსური ფორმის ბუშტულები. ბუშტულების წაგრძელება ფსკერიდან პირისაკენ ძლიერ იზრდება და პირის გადაკეცვის ადგილას ისინი ძლიერ წაგრძელებული ჩანან. რამდენიმე ადგილას ჩანს ძლიერ წყრილი ბუშტულებისაგან შემდგარი ფენა, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს ცხელი, ზღანტი მინის ერთიმეორეზე გადაფენით.

ქიმიური ანალიზი ასეთია: SiO₂—66,40%₀,

CaO—4,7% ₀ ,	MgO—2,02% ₀ ,	Mn ₂ O ₃ —0,28% ₀ ,
Al ₂ O ₃ —1,61% ₀ ,	Mn ₂ O ₃ —0,24% ₀ ,	Fe ₂ O ₃ —0,67,
Na ₂ O—21,80% ₀ ,	K ₂ O—1,5% ₀ ,	BaO—0,48% ₀ .

7. მინის „შაბაკის“ ფრაგმენტი—თბილისი, „განჯისკარი“, № 1—54:69 (ანალ. № 11).

მოყვითალო-მწვანე მინისაა. ფორმით მიაგავს ნელსაცხებლის გრძელე-ლიანი ქურქლის ყელს. გამავალ სინათლეზე მინა მომწვანო-მოყვითალო ფერი-



საა. ძლიერ „დაქმული“, სადაფისებრი ელვარებით. დაუზიანებელ ადგილებში მინა ნათელი და გამჭვირვალეა. მიკროსკოპში $2 \times 12,5$ გადიდებაზე შეიმჩნევა გასწვრივი, ძლიერ წაგრძელებული ბუშტულები საშუალო რაოდენობით.

ქიმიური ანალიზის შედეგი ასეთია: SiO_2 —60,55%,

CaO —8,88%,	MgO —2,73%,	Fe_2O_3 —1,74%,
Al_2O_3 —1,29%,	Mn_2O_3 —0,73,	Na_2O —19%,
		K_2O —2,0.

8. მწვანე კურჭლის ძირი—თბილისი, „განჯისკარი“, № 1—54:1110 (ანალ. № 12).

მინა მუქი მწვანეა (ფერით ძალიან წააგავს ბორჯომის ბოთლის მინას). ბუშტულები ბევრია, მათ დეფორმაცია თითქმის არ განუცდია. ბუშტულები ზოგი მკრქალი და გაუმჭვირვალეა.

ქიმიური ანალიზით მიღებულია: SiO_2 —57,86%,

Fe_2O_3 —0,93%,	Al_2O_3 —13,68%,	CaO —6,41%,
BaO —2,13%,	MgO —2,6%,	K_2O —2,0%,
Mn_2O_3 —0,04%,		Na_2O —15%.

ის გარემოება, რომ ბუშტულებს დეფორმაცია არ ეტყობა, ვფიქრობთ აიხსნება იმით, რომ შესწავლილი ფრაგმენტი კურჭლის ძირს წარმოადგენს. კურჭლის დანარჩენ უფრო თხელ ნაწილებს დეფორმაცია უთუოდ შეემჩნეოდა. მინაში 0,93% რკინის ქანვის და მანგანუმის ქანვის 0,04%-ით არსებობა განაპირობებს მინის მწვანე ფერს.

9. მინის კურჭელი—სანელსაცხებლე—თბილისი, „განჯისკარი“, № 1—54:467 (ანალ. № 13).

მინა მოყვითალო-მწვანე ფერისა. შესასწავლად აღებული იყო კურჭლის ყელის ფრაგმენტი, რომლის $R=1$ სმ.

სანელსაცხებლეს მინა ცუდად გამომდნარი აღმოჩნდა, რასაც მასში მრავალი ბუშტულის არსებობა მოწმობს. ბუშტულების ფორმა დაახლოებით ნემსისებრია და ყელის პარალელურადაა განლაგებული. ერთ ადგილს შეიმჩნევა გაწვლილი მოყვითალო ფერის მინის ზოლი, რომელიც უთუოდ სამგა-ლენტიანი რკინის შენაერთით (Fe_2O_3) უნდა იყოს შეფერილი.

მინის ზედაპირი მცირედაა ირიზებული, ალაგ-ალაგ შეიმჩნევა პიტინგები.

ქიმიური ანალიზი ასეთია: SiO_2 —58,84%,

CaO —9,16%,	MgO —3,49%,	BaO —1,49%,
Fe_2O_3 —0,96%,	Mn_2O_3 —7,34%,	Al_2O_3 —2,0%.
K_2O —1,5%,	Na_2O —17%,	

როგორც ვხედავთ, მწვანე ფერის მიმცემი ნივთიერება რკინაა, რომლის რაოდენობა მინის ამ ნიმუშში, წინა ნიმუშთან შედარებით 0,03%-ით მეტია (I—0,93%; II—0,96%). მიუხედავად ამისა, მინის ფერი პირველი ნიმუშისა მუქი მოლურჯოა, ხოლო მეორესი კი უფრო ღია და მკრთალი. ეს გარემოება შესაძლებელია პირველ შემთხვევაში მანგანუმის არსებობით აიხსნას. I ნიმუშში (№ 1—54:1110) მანგანუმი მინიმალური (0,04%-ის) რაოდენობითაა, რომელიც, ცხადია, გავლენას ვერ მოახდენდა რკინით გამოწვეულ ფერზე (ვერც დამატებითი ფერების მოქმედებით და

ვერც თავისი უანგვეთი უნარიანობით). მაშასადამე, აშკარაა, რომ მეტრეწე ნიმუშში (1—54:467) იგი საგანგებოდაა შეტანილი და სათანადო შედგენილებისათვისაც მიუღწევიათ. მეორე მინა გაცილებით ნათელია, ვიდრე პირველი და მანგანუმსაც ღიდი—7,43%-ის რაოდენობით შეიცავს. ამ ნიმუშში მანგანუმი შეტანილია როგორც ჩანს, რკინის დასაქანგავად.

10. ჭიქის ძირი, მამწვანო-ციხფერი მინისა—თბილისი, „განჯისკარი“, № 1—54:84 (ანალ. № 14).

მინას ირიზაცია განუტღია. ალაგ-ალაგ შეიმჩნევა მინის გამოფიტული ფენის მქრქალი აპკი, რომელიც როგორც ჩანს, მხოლოდ რამოდენიმე ადგილასაა დარჩენილი. მინის ეს ნიმუში სხვადასხვა სისქისაა. მხედველობის არეში (12,5×2) მხოლოდ 6—8 მუშუტულა შეიმჩნევა. მინა კარგადაა გამოდნობილი, რითაც გამოირჩევა სხვა თანადროული მინებისაგან.

ქიმიური ანალიზის მიხედვით: SiO_2 —66,66%,

CaO —9,53%,

BaO —1,69%,

Fe_2O_3 —0,93%,

MgO —1,63%,

Mn_2O_3 —0,24%,

Al_2O_3 —0,67%.

K_2O —1,5%,

Na_2O —16,0%.

სპექტრული ანალიზით, ზემოაღნიშნულ ელემენტებს გარდა, აღმოჩნდა სპილენძი დაახლოებით პროცენტის მეასედებში. ცხადია, რომ ფერის მიმცემი სპილენძი უნდა იყოს (იხ. ცხრილი 2).

როგორც ვხედავთ, ამ მინაში მთავარ მინისწარმოქმნელ ნივთიერებათა ჯამი 92,19 უდრის, მანგანუმი მასში მცირე რაოდენობითაა (0,24%). მანგანუმის ამ რაოდენობას არ შეეძლო ორგანულიანი რკინის სემვალენტური ანში გადაყვანა. მინისწარმოქმნელ ნივთიერებათა ასეთი რაოდენობა თბილისის მინებში მხოლოდ ორჯერ შეგვხვდა, რითაც იგი ძლიერ უახლოვდება ანტიკური მინების შედგენილობას. აღსანიშნავია, რომ ორივე ნიმუში ერთი და იგივე დანიშნულების—ქურქლის ფრაგმენტია. ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს მინები განსაკუთრებული რეცეპტით მზადდებოდა?

ახლა თუ შევადარებთ სამაჯურებისა და ქურქლის ქიმიური ანალიზების შედეგებს, დავინახავთ, რომ აქ აღმოჩენილი ყველა მინა, ისევე როგორც ყველა სხვა ადრეული მინა, Na_2O — CaO — SiO_2 -ია. სილიციუმის ორჯანის რაოდენობა 57,86%-დან 66,66%-მდე იცვლება; კალციუმის ჯანგისა 4,70%-დან 9,99%-მდე, ხლო ნატრიუმის ჯანგის 15%-დან 21,8%-მდე, ე. ი. საშუალო ჯამი მთავარი მინისწარმოქმნელ ნივთიერებებისა 88,10% უდრის, დანარჩენი შეადგენს მინისწარმოქმნელ მეორეხარისხოვან ნივთიერებებს: Al_2O_3 , K_2O , MgO , BaO .

გარდა აღნიშნულისა, სპექტრული ანალიზით მინაში აღმოჩნდა: ტიტანი მეთედი პროცენტის რაოდენობით და სპილენძი, რომლებიც მუდმივი შემადგენელი ნაწილებია საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი თითქმის ყველა მინის; უკანასკნელი ჩვენს მინებში ძლიერ მცირე რაოდენობით გვხვდება, ვიდრე ტიტანი, რომელიც ძირითადად კვალის სახითაა წარმოდგენილი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სპილენძს (ნებით თუ უნებლიეთ) მომეტებული რაოდენობით—უთუოდ მინის ცისფრად შეფერვის მიზნად იყენებდნენ. მანგანუმის არსებობაც ამ მინებში, ჩვენი აზრით, ზოგიერთი გამოწვევის გარდა, უმეტეს შემთხვევაში საგანგებოდ უნდა იყოს შეტანილი რკინის ნა-

2. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XX—A



თბილისი „განჯისკარი“—მინის ქიმიური და

ელემენტის დასახელება	ანალ. № 2 სამაჯური შავი მინისა № 1—54:514	ანალ. № 10 სამაჯური შავი მინისა № 1—54:1378	ანალ. № 16 სამაჯური ცისფერი მი- ნისა № 1— 54:503	ანალ. № 17 სამაჯური შავი მინისა № 1—54:63	ანალ. № 8 „ბახანა“ № 1—54:19
SiO ₂ (ქიმ.)	58,98	58,39	60,63	66,34	59,37
CaO	8,27	9,99	5,6	6,64	9,12
MgO	1,90	1,29	4,22	5,70	0,4
Fe ₂ O ₃	7,92*	2,02	1,78	2,00	1,33
Al ₂ O ₃	7,92*	2,0	3,00	3,29	3,66
Mn ₂ O ₃	2,24	3,48	0,39	1,52	0,28
BaO	5,0	1,90	1,90	5,0	0,68
Na ₂ O	15,0	15,0	15,20	15,0	15,0
K ₂ O	1,5	2,5	1,5	2,0	3,6
B ₂ O ₃ (სპექტრ.)	—	+	2,0	2,0	—
Ni	არ არის	არ არის	არ არის	არ არის	არ არის
Co	არ არის	არ არ/კვ.	ცოტა	არ არ/კვ.	არ არ/კვ.
Ti	არის	არის	არის	არის	არის
V	ცოტა	ცოტა	ცოტა	ცოტა	ცოტა
Mo	არ არის	არ არ/კვ.	არ არის	არ არის	არ არ/კვ
Pb	არ არის	ცოტა	არ არის	არ არის	არ არის
Cu	კვალი	ცოტა	ცოტა	კვალი	კვალი
Sn	არ არის	კვალი	არ არის	არ არის	არ არის
Hg	არ არის	არ არის	არ არის	არ არის	არ არის

ერთებით გამოწვეული შეფერვის გაუფერულებისა და შესუსტების მიზნით, რადგან ყველაზე ხშირად, ქვიშებისა თუ სხვა ნედლი მასალის გამოყენებისას, რკინა უნებლიედ ხვდება კაზმში და მინას არასასიამოვნო მოლურჯო ფერს აძლევს—ორვალენტიანი რკინის მარილების შემთხვევაში; ხოლო მოყვითალო-მომწვანო ფერს—სამვალენტიანი რკინის მარილების არსებობის შემთხვევაში.

მინის გაუფერულება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროცესია მინის წარმოებისას. ახლა გასაუფერულებლად ხმარობენ ელემენტარულ სელენს და დარიშხანის ჟანგს¹⁶, მაგრამ, როგორც სპექტრულმა ანალიზმა გვიჩვენა, არც სელენი და არც დარიშხანი ძველ მინებში კვალის სახითაც კი არ მოიპოვება. სამაგიეროდ მანგანუმი ისეთი დიდი ოდენობით შედის, რომ ხშირ შემთხვევაში აშკარად ჩანს, რომ იგი ხელოვნურადაა შეტანილი (მანგანუმი შედის კვარცის ქვიშების შედგენილობაში მცირე რაოდენობით, დაახლოებით 0,3%-მდე). მინის გაუფერულების მიზნით, ძველ ხელოსნებს შეეძლოთ გამოყენებინათ მანგანუმის ორქანგი—MnO₂ პიროლუზიტი, რომელიც მრავლად მოიპოვება საქართველოს ტერიტორიაზე როგორც მის აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ ნაწილში.

მინის გაუფერულება შესაძლოა ორი: ფიზიკური და ქიმიური ხერხით მოხდეს.

ფიზიკური მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მინის შედგენილობაში შეჭყავთ აუცილებელი რაოდენობა საღებავისა, რომელიც მინას აძლევს დამატებით ფერს, რომელიც რკინის ჟანგულებით შეფერილი მინის ფერს ემატება და ორივე ერთად მინას აუფერულებს. ასეთ სპეციალურ საღებავებად თუ გამოაუფერულებლებად¹⁷ მინის წარმოებაში იყენებენ: მანგანუმის ჟანგს

¹⁶ ალუმინის ჟანგისა და რკინის ჟანგის რაოდენობა მოცემულია ჯამის საბით.

¹⁷ А. В. Сенин, Роль селена и мышьяковистого ангидрида в обесцвечивании стекла. „Керамика и стекло“, 1939, № 8, გვ. 56.

სპექტრული ანალიზების ცხრილი 2

ანალ. № 9 ტიქის ნატეხი № 58—81	ანალ. № 11 შიბაქის ნა- ტეხი № 1—54:69	ანალ. № 12 მწვანე ტურბ- ლის ძირი № 1—54:1110	ანალ. № 13 სანელსაც- ხელე № 1—54:467	ანალ. № 14 ტიქის ძირი № 15—4:84
66,40	60,55	57,86	58,84	66,66
4,70	8,88	6,41	9,16	9,53
2,02	2,73	2,6	3,49	1,63
0,67	1,74	0,93	0,90	0,93
1,61	1,29	13,68	2,3	0,67
0,28	0,73	0,04	7,34	0,24
0,48	1,11	2,13	1,49	1,69
21,80	19,0	15	17	16
1,5	2,0	2,0	1,5	1,5
—	—	—	+	—
არ არის	არ არის	არ არის	არ არის	არ არის
არ არის	არ არის	არ არის	არ არის	არ არის
არის	არის	არის	არის	არის
ცოტა	ცოტა	ცოტა	ცოტა	ცოტა
არ არის	არ არის	არ არის	არ არის	არ არის
არ არის	კვალი	არ არის	არ არის	არ არის
კვალი	კვალი	კვალი	კვალი	კვალი
არ არის	არ არის	არ არის	არ არის	არ არის
არ არის	არ არის	არ არის	არ არის	არ არის

Mn_2O_3 , ნიკელისა და კობალტის ჟანგეულებს და სელენს (დამატებითი ფერ-ბია წითელი და მწვანე, ყვითელი და მოლურჯო-იისფერი და სხვ.)¹¹.

მინის გაფუერულების ქიმიური მეთოდი მდგომარეობს ორვალენტიანი რკინის ჟანგის, ანუ ქვეჟანგ $Fe(O)$ -ს Fe_2O_3 —სამვალენტთან ჟანგში გადაყვანაში, რადგან ორვალენტიანი რკინის ჟანგი 10-ჯერ უფრო ინტენსიურად ღებავს მინას, ვიდრე იგივე რაოდენობა სამვალენტიანი რკინის ჟანგისა, ამიტომ ამ არასასურველი ფაქტორის თავიდან ასცილებლად მინის კაზმს უმატებენ პიროლუზიტს MnO_2 , რომელიც მაღალ ტემპერატურაზე იშლება¹²: $2MnO_2 \rightarrow Mn_2O_3 + O$.

გამოყოფილი ჟანგი ჟანგავს კაზმში არსებულ ორვალენტთან რკინას და გადაჰყავს იგი სამვალენტთან მდგომარეობაში¹³.

ყოველივე ზემოთქმულის მიხედვით თბილისის მინები შეიძლება ასე დაეხასიათოთ:

ყველა მინა $Na_2O-CaO-SiO_2$ -იანია. გამოდნობის ხარისხი არადამაკმაყოფილებელია. შეიცავს ბლომად ბუშტულებს და ხშირად გაულღვარ ნაწილაკებასაც კი. ფერი დაწმენდილი არა აქვს და მინა ნათელი არ არის.

მინის ქიმიური შედგენილობა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მინის დნობა შედარებით დაბალ ტემპერატურაზე ხდებოდა.

ნატბეური

1957 წელს სოფ. ნატბეურთან, მცხეთა-სამთავროს ექსპედიციის მიერ არქ. ნ. უგრელიძის ხელმძღვანელობით გათხრილ იქნა XIII ს. მინის საწარ-

¹¹ И. И. Китайгородский, Н. Н. Качалов, В. В. Варгин и др., Технология стекла. 1951, გვ. 88.

¹² М. А. Безбородов, Общая технология стекольного производства, 1936, გვ. 51.

¹³ Б. В. Некрасов, Курс общей химии. 1948, გვ. 283.



მო, რომელიც მიკვლეულ იქნა 1955 წ. ისტორიის ინსტიტუტის სადარბაზო-ში ვო. ჯგუფის მიერ.

ეს საწარმო ჯერ ბოლომდე არ არის გამოვლინებული,* მაგრამ ის, რაც უკვე მოპოვებულია, საყურადღებო მასალას იძლევა შუა ფეოდალური დროის მინის შესწავლისათვის.

ამ საწარმოდან ჩვენ მიერ შესწავლილ იქნა 6 მინის ნიმუში.

1. მინის კურკლის ნატეხები და წვეთები (ანალ. № 7).

მინა მომწვანო ფერისა, ოქროსფერი ირიზაციით, რომელიც ადვილად იქერცლება. მასში ხშირია დეფორმირებული ელიფსური ფორმის ბუშტულები.

ქიმიური ანალიზი ასეთია: SiO_2 —60,88%,

Fe_2O_3 —1,83%,	Mn_2O_3 —0,24%,	Al_2O_3 —1,41%,
CaO —11,12%,	MgO —2,00%,	BaO —0,65%,
Na_2O —18,15%,	K_2O —2,0%,	

2. ღია მომწვანო-ცისფერი დახშული მინის ფრაგმენტი** (ანალ. № 36).

მინა ძლიერაა ირიზებული. ირიზაციის ფენა საკმაოდ სქელი და მოყვითალოა. მინა ახალ მონატეხზე ალაგ-ალაგ გამჟვირვალეა, საერთოდ კი ბუნდოვანია და მდიდარია დიდი ზომის სფეროსებრი ბუშტულებით.

ერთ ადგილას მოჩანს მოყვითალო ფერის პატარა ლაქა; მინა ზრასრულად შელღობილი მასისაგან მიღებული ნაწარმის შთაბეჭდილებას ახდენს.

ქიმიური ანალიზით მივიღეთ: SiO_2 —55,63%,

Fe_2O_3 —1,43%,	Al_2O_3 —6,15%,	CaO —12,89%,
MgO —2,62%,	Mn_2O_3 —0,75%,	Na_2O —5%,
K_2O —1,5—2%,	BaO —0,31%,	

როგორც ირკვევა, ცუდი შელღობის[†] მიზეზი უპირველესად ყოვლისა ნატრიუმისა და კალიუმის ჟანგების მცირე რაოდენობა, ხოლო აღუმინისა და კალციუმის ჟანგის დიდი რაოდენობა უნდა იყოს.

3. შავი გაუმჟვირვალე მინა (ანალ. № 37).

მინა ირიზირებს სადაფისებურად, ძირითადად ლურჯად. ირიზირებულ ნაწილში კარგად შეიმჩნევა ბუშტულები. ირიზირებული ფენის მოცილებისას ჩანს მეორადი გამოფიტვის პიტინგები პატარა ბუშტულების მსგავსად. მინა გამავალ სინათლეზე მუქი მოყვითალო-ყავისფერია; ის წარმოადგენს ტიპურ მაგალითს სამვალენტური რკინის შენაერთით შეფერილი მინისა.

მინა კარგი გამომდნარია, მიკროსკოპის ქვეშ ბუშტულები (7×17) შეიმჩნევა ძლიერ იშვიათად.

* მინის სადნობი ქურები არ არის გაწმენდილი.

** რადგან ფრაგმენტი მინის კურკლისა საანალიზოდ საკმარისი რაოდენობით არ აღმოჩნდა, დაუშვებელი მიკროსკოპის ქვეშ სავსებით მსგავსი მინის ნარჩენები წვეთების სახით

ქიმიური ანალიზის შედეგები ასეთია:	SiO_2 —60,82%,	
Fe_2O_3 —2,06%,	Al_2O_3 —7,22%,	CaO —10,34%
MgO —2,05%,	K_2O —6%,	Na_2O —9,0—15,0%.
Mn_2O_3 —1,75%,	BaO —0,49%,	

როგორც ვხედავთ, ეს მინა თავისი შედგენილობით ძლიერ წააგავს წინა ნიმუშის მინას, მხოლოდ აქ ძირითადი მაღლობი ნივთიერებანი გაცილებით მეტი რაოდენობით შედის, ვიდრე წინა მინაში, ამიტომ ამ მინის შედგენილობის ხარისხი კარგია.

4. ღია მომწვანო, უფორმო მინის ფრაგმენტი (ანალ. № 39), სისქე 5 მმ. დაფარულია ღია ყვითელი გამოფიტვის ფენით, რომლის მოცილებისას ჩანს სადაფისებურად ელვარე ლურჯი ფერის მინის ზედაპირი. ალაგ-ალაგ ჩანს ბუშტულების სიცარიელე, რომელსაც ზოგჯერ გამოფიტვაც ემჩნევა. ახლად ჩამონატეხი ზედაპირი პრიალაა.

გამავალ სინათლეზე მინა სქელ ფენებში წავი, ხოლო თხელ ფენებში მოყვითალო-ყავისფერია.

ქიმიური ანალიზით ირკვევა რომ, იგი შედგენილობის მიხედვით მსგავსია წინა მინას:

SiO_2 —60,66%,		
Fe_2O_3 —0,78%,	Al_2O_3 —5,83%,	BaO —2,15%,
CaO —14,6%,	MgO —1,52%,	Na_2O —13,0%.
K_2O —6,0%,		

5. მომწვანო-მოციფრო მინის ფრაგმენტი (ანალ. № 40).

მიკროსკოპში მოჩანს მომწვანო-მოციფრო მინის კრიალა ზედაპირი. მინა დაფარულია ქუქუყისფერი გამოფიტვის მკვრივი ფენით, რომელიც ცეკით იყო დაფარული (ნიმუშის მეორე მხარე ახლად ჩამოტეხილია).

მხედველობის არეში (17×2 გადიდებაზე) შეიმჩნევა ერთეული ბუშტულები. ნატეხი არაერთგვაროვანია; ცენტრისკენ მოციფრო, კიდევბისაკენ კი მოყვითალო. შეიცავს დიდი და პატარა ზომის ბუშტულებს. ერთ ადგილას კარბონატის ნატეხიც ჩანს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ფრაგმენტი წარმოადგენს ნახევრად გამლვარ მასისაგან მიღებულ ნაწარმის ნატეხს, ან, რაც უფრო მოსალოდნელია, ის ნაწილია ისეთი მასისა, სადაც ყველგან დნობა არ იყო დამთავრებული. ამით აიხსნება ის, რომ ერთ და იგივე ფრაგმენტში გვაქვს როგორც კარგად გამოდნობილი, ისე ნახევრად შედგენილი მასალა.

ქიმიური ანალიზი ასეთია:

SiO_2 —56,50%,		
Fe_2O_3 —0,78%,	Al_2O_3 —13,52%,	MgO —1,71%,
CaO —6,96%,	BaO —6,18%,	K_2O —6,18%.
Na_2O —9,0%,		

თუ გადავხედავთ ნატეხურის მინების ქიმიურ შედგენილობას (იხ. ცხრილი 3), უთუოდ თვალში გვეცემა კალციუმის ჯანგის ძალიან დიდი რაოდენობა, რომელიც ერთ ნიმუშში 14% აღწევს.

საერთო რაოდენობა SiO_2 -ისა იცვლება 56,50%-დან 62,10%-მდე; CaO -ს 6,96%-დან 14,6%-მდე. Al_2O_3 -ის რაოდენობაც, ერთი ნიმუშის გარდა, იცვლება 5,83%-დან—13,52%-მდე.

აღსანიშნავია ისიც რომ, ამ მინებში სხვა შენაერთებთან შედარებით გაცილებით მეტი რაოდენობით შედის კალიუმის ჯანგი. ალუმინის, რკინის,

ნატბურის მინის ანალიზი

ელემენტის დასახელება	ანალ. № 7 მინა მომწვანო ფერის, თქროსფერი ირიზაციით	ანალ. № 36 დახშული მოწვანო მონფერი მინა	ანალ. № 37 მუქი მინის ფრაგმენტი	ანალ. № 38 სქელი ცისფერი უფორმო მინა	ანალ. № 39 ლია მომწვანო, უფორმო მინის ფრაგმენტი	ანალ. № 40 ცისფერი მინა ხალისა-ტყის
SiO ₂ (ქიმი.)	60,88	55,63	60,82	62,10	60,66	56,50
CaO "	11,12	12,89	10,34	10,72	14,60	6,96
MgO "	2,00	2,62	2,05	2,71	1,52	1,71
Fe ₂ O ₃ "	1,83	1,43	2,06	0,41	0,78	0,78
Al ₂ O ₃ "	1,41	6,15	7,22	6,11	5,83	13,52
Mn ₂ O ₃ "	0,24	0,75	1,75	1,74	—	—
BaO "	0,65	0,31	0,49	0,32	2,15	6,18
Na ₂ O "	18,15	5	9,0—15,0	15,63	13,0	0,0
K ₂ O "	2,0	1,5—2	6,0	6,0	6,0	6,18
B ₂ O ₃ (სპექტ.)	+					
Ni "	არ არის	არ არ/კვ.	არ არ/კვ.	არ არ/კვ.	არ არ/კვ.	არ არ/კვ.
Co "	არ არ/კვ.	არ არის	არ არის	არ არის	არ არის	არ არის
Ti "	არის	ცოტა	არის	არის	არა	არის
V "	ცოტა	ცოტა	ცოტა	ცოტა	ცოტა	ცოტა
Mo "	არ არის	არ არის	არ არას	არ არის	არ არის	არ არის
Pb "	კვალი	არ არის	კვალი	არ არის	არ არის	არ არის
Cu "	კვალი	კვალი	კვალი	კვალი	კვალი	კვალი
Sn "	არ არის	არ არის	არ არის	არ არის	არ არის	არ არის
Hg "	არ არის	არ არის	არ არის	არ არის	არ არის	არ არის

მანგანუმის ქანგეულების თანამყოფობა მინაში ზრდის მდგრადობას (H₂O, CO₂). მაგრამ მეორე მხრივ ისინი უარყოფითად მოქმედებენ დნობის პროცესზე, რადგან ასეთი შედგენილობის კაზმიდან გამჟებრვალე და უბუშტულებო მინის მიღება გაცილებით მაღალ ტემპერატურასა და დნობის პროცესის გახანგრძლივებას მოითხოვს.

მინის მთავარი წარმომქმნელი ნივთიერება . შედგება SiO₂, CaO, Na₂O-გან, რომელთა ჯამი უდრის 84,65%. ოთხი დანარჩენი მინისწარმომქმნელ ნივთიერებათა K₂O, BaO, Al₂O₃, MgO ჯამი ტოლია 12,84%.

სამშაბი დიავრამის მიხედვით მინის დნობის t—1050°-ს უდრის, მაგრამ მეორეხარისხოვანი მინისწარმომქმნელ ნივთიერებათა არსებობა კაზში გადახრას იძლევა აღნიშნულ ტემპერატურიდან.

აღსანიშნავია, რომ კალიუმის ქანგის ასეთი დიდი რაოდენობით არსებობა ჩვენ მიერ ჯერ არც ერთი პერიოდის მინებში არ ყოფილა კონსტატირებული. შესაძლებელია ეს ფაქტი მცენარეული ნაცრიდან სოდის მიღებაზე მიუთითებდეს.

მსგავსი შედგენილობის მინები ცნობილია საფრანგეთსა და გერმანიაში, რომის იმპერიის დაცემის (VIII საუკ.) შემდეგი ხანიდან. აკად. ბეზბოროდოვის აზრით გერმანიაში, ეგვიპტიდან სოდის შემოტანის შეწყვეტის შემდეგ, იყენებდნენ წიფლის ხის ნაცარს¹⁴, რომელიც შეიცავს K და Ca-ს. ამიტომაც ეს მინები K₂O, CaO და SiO₂ შემცველია. მათი საშუალო შედგენილობა ასეთია: SiO₂—53—54%, Al₂O₃—3—4%, CaO—21,22% MgO—2—3% და ა. შ.

ჩვენს მინებში CaO-ს რაოდენობა ისეთი დიდი არ არის, როგორც საფრანგეთისა და გერმანიის მინებში, მაგრამ ნატბურის მინები გამოირჩევიან

¹⁴ М. А. Безбородов, დასახელებული ნაშრომი, გვ. 89.

აგრეთვე ალუმინის დიდი შემცველობითაც. ასეთი შედგენილობის მინერალური ქართველოს ტერიტორიაზე აღრეული ხანის მასალაში არ შეგვხვედროს და როგორც ჩანს, ნატბეურის მინის საწარმოს ახასიათებს მხოლოდ.

ალსანიწნავია, ამ მინებში აგრეთვე K_2O -ს შედარებით მომეტებული და ნატრიუმის ჯანგის შემცირებული რაოდენობა. ყოველივე ზემოთქმული გვაფიქრებინებს, რომ შესაძლებელია ნატბეურის საწარმოში სოდის ნაცვლად მცენარეული ნაცარი იყო გამოყენებული.

ამ მიზნით ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა ისეთი მცენარეები, რომელთა ნაცარეული შეიცავს სოდას.

ასე მაგალითად, მცენარე *Halostahys caspica*-ს (აზერბაიჯანულად შახსევდი), რომელიც ძირითადად გავრცელებულია აღმოსავლეთ კავკასიაში, ნაცარიანობა = 27,9%-ს, ნაცარი კი ხსნად მარილს 60,53% შეიცავს. მარილების შედგენილობაში 36,8% ნატრიუმის კარბონატი და 2,5% ნატრიუმის ბიკარბონატი. ეს მცენარე აღმოსავლეთ საქართველოში მრავლად მოიპოვება, ხარობს მლაშე ტბების მახლობლად, კერძოდ შირაქის ელდარზე¹⁵.

Salicornia herbacea — ბალახი ხურხუმო, ხარობს მთელ კავკასიაში, მცენარის ნაცარიანობა უდრის 16,33%, ხსნადი მარილები 75,7%. მათ შორის 6,4% შეადგენს Na_2CO_3 , $MgBr_2$, და MgI_2 ¹⁶. *Salsola*, ოშანი, შორანი, ყველა წარმომადგენელი ამ დიდი ოჯახისა შეიცავს სხვადასხვა რაოდენობით სოდას.

Salsola soda იზრდება ქართლში, კახეთში (ქიზიყში, შირაქის ელდარში) და ამ მცენარეიდან კუსტარული წესით იღებენ სოდას¹⁷.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, *Salsola glauca*, რომლის ნაცარი 61% ნატრიუმის კარბონატს, ე. ი. სოდას შეიცავს და 15% K_2CO_3 -ს; ეს მცენარე გავრცელებულია ქიზიყში, გარე კახეთსა და გარდაბანში.

ის გარემოება, რომ სოდის შემცველ ამ მცენარეთა მოპოვება ისეთი რაოდენობით, რომ მას დაეკმაყოფილებინა მასშინდელი მინის წარმოების მოთხოვნილება, არ წარმოადგენდა დიდ სიძნელეს და აგრეთვე ისიც, რომ ნატბეურის მინებში Na_2CO_3 -ის შეფარდება K_2CO_3 -თან უახლოვდება ზემოაღნიშნული მცენარეების ნაცარში კალიუმისა და ნატრიუმის კარბონატების შეფარდებას გვაფიქრებინებს, რომ ნატბეურში მინის წარმოებისას მცენარეულ სოდას ხმარობდნენ.

იკრებით

1957 წლის შემოდგომაზე სოფ. ორბეთიდან ორი კილომეტრის დაშორებით აღმოჩენილ იქნა ახალი მინის საწარმო, რომელიც შემდგომ გათხრილ იქნა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ვანყოფინების მიერ ნ. უგრელიძის ხელმძღვანელობით. აქ მოპოვებულ იქნა მინის ზოდებო ნახევრად შემლღარი კერამიკასთან*. ზოდები მწვანეა, მუქი ყვითელი ან თითქმის შავი. ერთ-ერთი ზოდი სამი ფენისაგან შედგება. დადგინდა, რომ მინა შეფერილი ყოფილა ორვალენტიანი რკინის შენაერთებით მოლურჯო-მწვანედ. ფერის შეცვლის მიზნით უკვე გამდნარი მინის მასაში დაუმატებიათ მანგანუმის შემცველი ნივთიერება (შესაძ-

¹⁵ А. А. Гроссгейм, Растительные богатства Кавказа, Московское общество Испытателей Природы, 1952, გვ. 332.

¹⁶ А. А. Гроссгейм, დასახ. ნაშრომი, გვ. 333.

¹⁷ საქართველოს ფლორა, III, 1943, გვ. 176.

¹⁸ იქვე.

* მინის სადნობი (სახარშავი) ღუმელის აბაზანის ძირი.



ლებელია MnO_2), რადგან მინის მასაში, შესაძლებელია, ერთ დამანვე დროს აღმდგენელი და დამჟანგველი არე არსებობდეს, ამიტომ მანგანუმმა ერთ და იმავე დროს შესაძლებელია მინაში არსებული ორვალენტიანი რკინა და-ჟანგოს, თვით აღდგეს და მინის ფერი მოყვითალოში გადავა, ან თვით და-ჟანგოს და მინა იისფრად შეიფერება.

მინის ზოდებთან ერთად ნაპოვნი იქნა შავი მინის ბეჭდების ნატეხები, ფრაგმენტები სხვადასხვა ფერის ჭურჭლისა (ლურჯი, წითელი, ლალისფერი) და წვრილი წკირებისებრი ფორმის პატარა მინის ნატეხები, ლურჯი, შავი, თეთრი და სხვა ფერის.

საანალიზოდ შერჩეული იყო თითქმის ყოველი სახე ნაწარმისა, მაგ-რამ მასალის სიმციროს გამო ყველა ნიმუშზე ოდენობითი ანალიზის ჩატარე-ბა ვერ მოხერხდა. ყველა ნიმუში შესწავლილია სპექტრულად და მიკროს-კოპულად. ოდენობითი ანალიზი გაუკეთდა მხოლოდ 6 ნიმუშს.

აღნიშნულ ძეგლს ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიური განყოფილე-ბის მეცნიერ მუშაკი, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი ნ. უგრელიძე 11—13 საუკუნეებით ათარიღებს.

1. ყავისფერი სქელკანიანი მინის ჭურჭლის ფრაგმენტი (ქვების ჩანარ-თებით, ანალ. № 41), სისქე 0,6,—0,3 სმ.

მინა ღია ყავისფერია და კარგად გამოდნობილი ჩანს. მიკროსკოპის ქვეშ მხედველობის არეში 17×2 გადიდებაზე იშვიათად ჩანს მრგვალი ბუშ-ტულები.

ქიმიური ანალიზით მივიღეთ:

SiO_2 —58,07%,	CaO —19,5%,	MgO —1,71%,
Fe_2O_3 —0,62%,	Al_2O_3 —8,48%,	BaO —0,68%,
K_2O —6%,	Na_2O —9,0—15%,	Mn_2O_3 —არის,

2. რელიეფურზედაპირიანი, შეფერილი ლალისფრად, გამჭვირვალე მინის ფრაგმენტი (ჭურჭლის პირი), ორბეთი (ანალ. № 34), მინის ფრაგმენ-ტის ზომაა 1,2—3 სმ.

ამასთანავე ეს რაიონები მდიდარია ფაუნითაც კერძოდ, ბელურასნაირი ფრინველებით, რომლებიც უშუალოდ ჩვენი კვლევის საგანს შეადგენდა. ამ მიმართულებით სავსე მუშაობა ჩაატარეთ ნაირგვარ ეკოლოგიურ სტაციებში: ტყეში, ხეობაში, პარკში, ყანაში, პლანტაციის, ბაღში, ზღვის, მდინარეების, ტბებისა და ჭაობების სანაპიროზე, აგრეთვე მთების მიდამოებში გაგრის რაიონში 1957 წლის 23 ივლისიდან 23 აგვისტომდე, ხოლო ბათუმის რაიონში 1958 წლის 18 მაისიდან 18 ივნისამდე.

მუშაობის დროს მოვიპოვეთ ნაირგვარი ბელურასნაირი ფრინველები (139 ეგზ.), ბუდეები (13 ეგზ.) და კვერცხები (22 ეგზ.), რომლებიც ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ზოოლოგიის განყოფილებაში. მოპოვებული ფრინველების კუჭ-ჩინჩახვების შიგთავსის ანალიზით გარკვეულია მათი საკვების რაობა და ხასიათი.

აქვეა მოტანილი ზოგიერთი მკვლევარის—ვილკონსკის, დემენტიევის, დერიუგინის, დომბროვსკის, ლაუნციის, ნესტეროვის, სატუნინის, ჩხიკვიშვილისა და ტულინის მონაცემები გაგრისა და ბათუმის რაიონების ბელურასნაირი ფრინველების შესახებ.



ბაბრისა და ბათუმის რაიონებში გავრცელებულ ბელუსტისნაირ ფრინველთა ბიოლოგიის ზომიერეთი საქითხი

1. აღმოსავლური რუხი ყვავი—*Corvus corone sharpii* Oates.

ეგზემპლარები ♀, გაგრა, 1. VIII. 1957; ♀, ♂, ♂, მახო, 10. V. 1958. შემგროვებელი და გამრკვევი ლ. ჩინჩაღაძე.

გამოირჩევა ორფეროვანი შეფერილობით: ნისკარტი, თავი, ყელი, ფრთები, ბოლო და ფეხები შავი აქვს, ტანის სხვა ნაწილები—რუხი. ერთეული ეგზემპლარები აღვრიცხეთ შავი ზღვის სანაპიროზე (გაგრა, ბიჭვინთა, ლესელიძე), წიწვიანი ტყის პირად (გაგრა), პარკებსა და ხეივანებში (ბათუმი). განცალკევებით მდგარ წიფელზე (მახო), დაახლოებით 5 მეტრის სიმაღლეზე, ბუდეში აღმოჩნდა სამი ბარტყი (10. V. 1958). მათ შორის ერთი დედალი იყო, ორი—მამალი. ბარტყები უკვე მზად იყვნენ გადასაფრენად. სამივეზე აკვრიფეთ ბუმბლიჭამიები—*Menacanthus stramineus*. ლუნისც [6] აღრიცხული ჰყავს ბიჭვინთაში, გუდაუთში და ბათუმთან ახლო, ნესტეროვს [7]—(10.23.VIII) შემოდგომაზე კახაბერის დაბლობში.

ჩვენ მიერ მოპოვებული ყვავების კუქის შიგთავსში, ხოჭოების გარდა, აღმოჩნდა თევზის ძვლები და სიმინდის მარცვლები.

2. ჩვეულებრივი ქილყავი—*Corvus frugilegus frugilegus* Linné.

ეგზემპლარები ♂, კოლხიდა, 30. VIII. 1957. შემგროვებელი და გამრკვევი ლ. ჩინჩაღაძე.

შავი ზღვის სანაპიროზე ქილყავის გავრცელებისა და ბუდობის შესახებ მცირე ცნობები არსებობს. 1957 წლის ზაფხულში (30.VII) კოლხიდაში მოვიპოვეთ მამალი ქილყავი. როგორც ჩანს, იგი შავი ზღვის სანაპიროზე ზაფხულშიაც მოიპოვება. მისი ბუდობა ჯერჯერობით არ არის რეგისტრირებული. ჩიხვიშვილის [1] ცნობით, ქილყავი დასავლეთ საქართველოში ზამთრობს. ვილკონსკის [2] მიხედვით, ქილყავი ბათუმის მიდამოებში სექტემბრის მეორე ნახევრიდან აპრილის ბოლომდეა. დემენტიევის [3] აღნიშვნით, შავი ზღვის სანაპიროზე არ ბუდობს.

ჩვენ მიერ მოპოვებული ქილყავის კუქის შიგთავსში აღმოჩნდა ხოჭოების ნაწილები და თესლები.

3. კავკასიური ჩიხვი—*Garrulus glandarius krynicki* Kaleniczenko.

ეგზემპლარები ♂, ♂, გაგრის ქელი, წიწვიანი ტყე, 20.VII, 20.VIII, 1957; ♂, ♀, გაგრა, 27.VII. 1957; ♂, ალახაძე, ბალი, 13.VIII. 1957; ♂, სიმონეთი, 27. V. 1958; ♂, ახალშენი, 6.VI. 1958. შემგროვებელი და გამრკვევი ლ. ჩინჩაღაძე.

შავქოჩორა ჩიხვი მობუდარი ფრინველია. დაბლობებისა (ბიჭვინთა, ძველი გაგრა) და წიწვიანი ტყის (ძველი გაგრა, ჟრეხი) სტაციებისათვის დამახასიათებელია. საკვების მოსაპოვებლად ალპურ ზონაშიაც შეფრინდება ხოლმე. ამ მიზნითვე იმყოფება შავი ზღვის სანაპიროებზედაც. ამრიგად, მისი ვერტიკალური გავრცელება ზღვის სანაპიროდან ალპურ ზონამდე მიდის. ნესტეროვს [7] ქოროხის მხარისათვის დასახელებული ჰყავს *Garrulus melanocephalus* var. *anatolius*-ს ფორმა. ჩვენ მიერ მოპოვებული ეგზემპლარები ტაპობრივი *Garrulus glandarius krynicki*-ა.

საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის ფონდებ-


ში დაცულია კავკასიური ჩხიკვის 9 ეგზემპლარი, რომელიც დოროგოსტაისკიმ მოიპოვა 1914 წელს (1.5. IV; 15.16.VIII) შავი ზღვის სანაპიროზე. ეს ეგზემპლარები, ისევე, როგორც ჩვენ მიერ მოპოვებული ცალგები, ტიპობრივი *Garrulus glandarius krynicki*-ა. ვილკონსკის [2] დაკვირვებით, ჩხიკვი შემოდგომასა და ზამთარში წიფლის თესლით იკვებება.

ჩვენი ეგზემპლარების ჩინჩახვისა და კუქის შიგთავსში აღმოჩნდა პეწიანების, ცხვირგრძელებისა და ხარაბუხების ნაწილები.

4. ტარბი—*Pastor roseus* Linné.

ეგზემპლარები ♀, მახო, 31.V. 1958. შემგროვებელი და გამრკვევი ლ. ჩინჩალაძე.

საკვლევ ადგილებში ტარბი არ გვხვდებოდა რიცხვმრავალი გუნდების სახით. ორი ეგზემპლარი აღვრიცხეთ (31. V. 1958) მახოში აჭარისწყლის ახლოს, ბუჩქებში. ერთ მათგანს (დედალს), რომელიც ჩვენ მოვიპოვეთ, კრუხობის ნიშანი ემჩნეოდა. ოვობრც საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის მენზბირის კოლექციით დასტურდება, ტარბი ზაფხულშიაც მოიპოვება აჭარაში (ბათუმი, 5. VIII. 1892; 6. VII. 1892). ვილკონსკის [2] აღრიცხული ჰყავს ზრდადასრულებული ფორმები და მოზარდები კახაბერსა (25. IV. 1894; 12. 15. 18. 29.VII. 1892; 3. 4. IX. 1892) და ბათუმთან (25. 28. V. 1893). ტულინს [10] 1904 წელს (7.V) გაგრაში მამალი ტარბი ჰყავს მოპოვებული.



სურ. 1. ტარბი

ამრიგად, მონაცემების მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ

ტარბი ბათუმისა და გაგრის რაიონებში ზაფხულშიაც არის. შესაძლებელია იგი იქ ბუდობდეს კიდევ.

ჩვენ მიერ მოპოვებული ტარბის კუქის შიგთავსში აღმოჩნდა ხოქოების ნაწილები და ლოკოკინა.

5. კავკასიური კულუმბური—*Coccyzus coccyzus nigricans* Burtin.

ეგზემპლარები ♀, ძველი გაგრა, 29. VII. 1957; ♂, გაგრა—წიწვიანი ტყე, 29. VII. 1957; ♀, ლესელიძე—ტყე, 1. VIII. 1957; ♀, ურეხი, 29. V. 1958. შემგროვებელი და გამრკვევი ლ. ჩინჩალაძე.

კულუმბური მაღალი ადგილებისთვისაა დამახასიათებელი (სიმონეთი, გაგრის ქედი). მისი საბინადრო უმთავრესად ტყეა. უკურო წიწვიანს ირჩევს (გაგრის ქედი). ჩვენ წყვილი ბუჩქნედაც აღვრიცხეთ ძველ გაგრასა და წიფულნარში (ჩაისუბანში), სადაც ქვეტყეს წყავი და ჩიტისთვალა შეადგენდა. დერიუგინს [4] მათი რიცხვმრავალი გუნდი უნახავს (7. VIII) მურყანისა და მაყვლის ბარდებში ბათუმის ახლოს. ტულინს [10] კულუმბური მოუპოვებია (29.IV. 1904) გაგ-



რაში. იგი მახინჯაურში (4. III. 1953) ჩხაიძესაც უნახავს. ამას მოწმობს აპარის სახელმწიფო მუზეუმის კოლექცია.

ჩვენ მიერ მოპოვებული კულუმბურის ჩინჩავეისა და კუქის შიგთავსში ხოკოების ნაწილები უფრო მეტი აღმოჩნდა, ვიდრე მცენარეთა თესლები.



სურ. 2. კავკასიური კულუმბური

6. კავკასიური მწვანულა—*Chloris chloris bilkewitschi* Zarudny.

ეგზემპლარები ♀, ტბა ინკიტის სანაპირო, 3. VIII. 1957; ♀, ბათუმი, გარეუბანი, 13. VI. 1958; ♂, მახინჯაური—ბალი, 13. VI. 1958. შემგროვებელი და გამრკვევი ლ. ჩინჩალაძე.

მწვანულა ბათუმისა და გაგრის რაიონების მობინადრე—მოზუდარი ფრინველია. ბუდობისას ირჩევს მთის კალთების ბუჩქნარებსა და შამბნარს. ზამთარში კი უფრო დაბლობებში ატარებს დროს. 1958 წელს (13. VI) მახინჯაურის ერთ-ერთ ბაღში მოვიპოვეთ მამალი მწვანულა, რომელიც საამურად გალობდა. ტბა ინკიტის სანაპიროზე მოპოვებულ (3. VII. 1957) მონარდ დედალ მწვანულას განგური დაწყებული ჰქონდა. მათი რამდენიმე ეგზემპლარი აღრიცხულია რიწის სანაპიროზედაც. ლაუნიცს [6] მწვანულა, როგორც ჩვეულებრივი და ადგილობრივი მოზუდარი ფრინველი, აღურიცხავს გაგრაში, ბიქვინთასა და ბათუმში. ნესტეროვს [7] მწვანულას გალობა მოუსმენია (22. VIII) კვიპაროსის ხეივანში—ბათუმში.

ჩვენ მიერ მოპოვებული კავკასიური მწვანულას ჩინჩავეისა და კუქის შიგთავსში აღმოჩნდა ფუნაგორიებისა და სამწიფარების ნაწილები და მცენარეთა თესლები.

7. კავკასიური ჩიტბატონა—*Carduelis carduelis brevirostris* Zarudny.

ეგზემპლარები ♂, ძველი გაგრა, 17. VIII. 1957; ♂, კახაბერი 2. VII. 1958. შემგროვებელი და გამრკვევი ლ. ჩინჩალაძე.

ჩიტბატონა გაგრის, უმეტესად კი ბათუმის რაიონის ჩვეულებრივი ფრინველია. აქ იგი თითქმის ყველგან ბუდობს. მისი ვერტიკალური გავრცელება შავი ზღვის სანაპიროდან (გაგრა, ბიქვინთა, ლესელიძე, ბათუმი, კახაბერი, მახინჯაური) მთის ძირამდე (რიწის შარაგზა, მთა მტირალას მისასვლელი წყაროსთან) მიიმართება. ამ ადგილებში ბუჩქნარებს ირჩევს. უმეტეს შემთხვევაში რიცხვმცირე გუნდებია აღრიცხული. ჩვენ მიერ მოპოვებული ეგზემპლარები *Carduelis carduelis brevirostris*-ის ტიპობრივი ფორმაა. ჩიტბატონას მეორე ფორმა *Carduelis carduelis carduelis* ჩიკვიშვილის [1], მონაცემების მიხედვით,



სურ. 3. კავკასიური მწვანულა

დასავლეთ საქართველოში ზამთრობს. კავკასიური ჩიტბატონა ვილკონსკიმ [2] ჭადრიცხა შერეულ, ფოთლოვანსა და წიწვიან ტყეებში (VII. VIII) ხულოსა და ბესლეთში.

ჩვენ მიერ მოპოვებული კავკასიური ჩიტბატონას ჩინჩახვისა და კუჭის შიგთავსში აღმოჩნდა ხარაბუხას ნაწილები და მცენარეთა თესვლები.



სურ. 4. კავკასიური ჩიტბატონა

8. კავკასიური მთის ქვინტა—*Carduelis flavirostris brevirostris* Moore.

ეგ ზემპლარები ♀, განთიადი, 31. VII. 1957. შემგროვებელი და გამრკვევი ლ. ჩინჩალაძე.

მთის ქვინტა მცირე რაოდენობითაა გავრის რაიონში. მეტ შემთხვევაში იგი ცალკეული წყვილებისა და რიცხვნაკლები გუნდების სახით აღვრიცხეთ მთის ფერდობის წიწვიან ტყეში (გაგრის ქედი, ძველი გაგრა, 15. VIII. 1957). დაბლობში მოვიპოვეთ (განთიადი, 31. VII. 1957) ერთი მოზარდი დედალი ქვინტა, რომელსაც კრუხობის ნიშანი ემჩნეოდა. ბათუმის რაიონში იგი მხოლოდ ერთხელ შეგვხვდა (24. V. 1958) აჭარისწყალთან ფოთლოვან ტყეში. სამწუხაროდ მისი მოპოვება ვერ შევძელით. საინტერესოა რუსი მკვლევრების—დერიუგინის [4], ლაუნციის [6], ნესტეროვისა [7] და სატუნინის [8] მონაცემები, რომლებიც ეხებიან შავი ზღვის სანაპიროს ზოგიერთი ადგილის ფრინველების გავრცელებასა და ეკოლოგიას; მათ შორის ისინი კავკასიურ ქვინტას არ ასახელებენ.

ჩვენ მიერ მოპოვებული ქვინტას ჩინჩახვისა და კუჭის შიგთავსში, ბაღლინჯოების ნაწილების გარდა, აღმოჩნდა ფუნაგორიის—*Pentodon idiotata* რამდენიმე ეგზემპლარი.

9. კავკასიური სკვინჩა—*Fringilla coelebs solomkoi* Menzbier et Suschkin.

ეგ ზემპლარები ♀, ჟოჯვარის ხეობა, 27. VII. 1957; ♂, ვაგრა—ტყე, 29. VIII. 1957; ♂ ა. ალახაძე, 13. VIII. 1957; ♂, აჭარისწყალი, 30. V. 1958; ♂, ბათუმი—ბაღი, 1. V. 1958; ♂, სიმონეთი, 4. VI. 1958; ♂, ბათუმი—პარკი, 7. VI. 1958; ♂, მთა მტირალა, 13. VI. 1958; ♂, ბარცხანა, 13. VI. 1958. შემგროვებელი და გამრკვევი ლ. ჩინჩალაძე.

კავკასიური სკვინჩა საკმაო რაოდენობით მოიპოვება საკვლევ რაიონებში. იგი ბინადრობს და ბუდობს ბაღში (ბათუმი), პარკში, ტყისპირად (ვაგრა, მთა მტირალა), ბუჩქნარში (ბარცხანა). ცხოვრობს ქალაქად და სოფლად ადამიანის ახლო. შავი ზღვის სანაპიროზე არაერთხელ მოგვისმენია მისი ქიკიკი (ბიქვინთა, ლესელიძე, ვაგრა, მახინჯაური, ბათუმი).


ამრიგად, სკვინჩას გავრცელების ფართო არეალი აქვს. მისი გეოგრაფიული გავრცელება იწყება ზღვის სანაპიროდან და 1200 მეტრამდე (მათაძე რალა) აღწევს. ვილკონსკი [2] აღნიშნავს, რომ სკვინჩა მხოლოდ ზამთარშია ქალაქის მიდამოებში, ჩვენ მისი ამ ადგილებში ყოფნა დავადასტურებ ზაფხულშიც. იგი ზაფხულის პერიოდში მოვიპოვეთ ქალაქ ბათუმში და სოფელ ალახაძეში. საკვლევ ადგილებში ჰყავს ბიოლოგიური კონკურენტი სახლის ბელურას სახით. მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ სკვინჩა თანდათანობით იცვლის ნირს და უახლოვდება ადამიანს.



სურ. 5. კავკასიური სკვინჩა

1958; ბუდე—ბათუმის გარეუბანი, ალვის ხეზე, 3.VI. 1958; ბუდე—ბათუმის ბოტანიკური ბაღი, 9. V. 1958. შემგროვებელი და გამრავლებელი ლ. ჩინჩალაძე.

სახლის ბელურა მრავლად მოიპოვება ყველგან, სადაც კი ადამიანი სახლობს—ბარი იქნება ეს თუ მთა, სადაც ყანა და ადამიანი ეგულება, თავშესაფარსაც იქ ნახულობს და ამ პირობებს თავისი არსებობისათვის კარგად იყენებს. ბელურები ისევე ბლომად არიან ციტრუსების პლანტაციებში, როგორც ბაღებსა და ხეივანებში. აჭარისწყლის სანაპიროზე ჩვენ მოვიპოვეთ (28. V. 1958) მამალი ბელურა, რომელსაც კრუხობის ნიშანი ეტყობოდა. ბათუმის ერთ-ერთ ქუჩაზე (ცენტრში) მარაოსებრი პალმიდან (სურ.



სურ. 6. ჩვეულებრივი ბელურა

7) ბუდე ჩამოვიღეთ (10. VI. 1958), რომელშიაც დედალ-მამალი ბელურა იჯდა—ორივეს კრუხობის ნიშანი აჩნდა. დედლის პრეპარაციის დროს გაირკვა, რომ

10. ჩვეულებრივი სახლის ბელურა—*Passer domesticus domesticus* Lin-
nó.

ეგზემპლარები ♀, განთიადი, 31. VIII. 1957; ♂, აჭარისწყალი, 28. V. 1958; ♂ ახალშენი, 6. VI. 1958; ♂, ბათუმი, 7. VI. 1958; ♂, ბარცხანა, 7. VI. 1958; ♂, ანგისა, 8. VI. 1958; 2 ბუდე—გაგრა, 3. VIII. 1957; ბუდე პალმაზე—ბათუმი, 10. VI.

ხელმეორედ დასადები კვერცხები ჰქონდა. გაგრაში მოპოვებული (პ. VIII, 1958) ბუდე ცარიელი აღმოჩნდა.



სურ. 7. ბათუმი. მარაოსებრი პალმა, რომელზედაც ბელურა ბუდობდა

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ საკვლევ უბნებში ბელურა სამჯერ უნდა ბუდობდეს. პირველი ბუდობა აპრილის ბოლოს ეწყება, მეორე—ივნისში, მესამე კი აგვისტოში დამთავრებული აქვს.

ჩვენ მიერ მოპოვებული ბელურების ჩინჩახვისა და კუჭის შიგთავსში აღმოჩნდა მბზინვარები, ხოჭოების ნაწილები და სორბლის მარცვლები.

11. კავკასიური გრატა (მთის ქეროზა)—*Emberiza cia prageri* Laubmann. ეგზეპლარები ე, მახო, 31. V. 1958. შემგროვებელი და გამრცველი ლ. ჩინჩალაძე.

მთის ქეროზას საბინადროა მთის ფერდობის ტყისპირი, ბუჩქი, ბაღი და პლანტაცია ბათუმისა და გაგრის რაიონების უბნებში. რიწის ტბისაკენ დაშვებულ რიცხვას ქედის ფერდობზე, შერეული (წიფელა, მუხა, სოკი, ნაძვი) ტყისპირად, მთის ქეროზას ორი გუნდი აღვრიცხეთ (9. VIII. 1957); ბზიფის ხეობაში კი მხოლოდ ცალკეული ეგზემპლარები შეგვხვდა (30. VII. 1957). საჭიროა აღინიშნოს, რომ ეს ფრინველი არ შეგვხვდებოდა გაგრის ქედზე და მდ. ჭოროხის ხეობაში. ეოლკონსკის



სურ. 8. კავკასიური მთის ქეროზა

12. თეთრი ბოლოქანქალა—*Motacilla alba alba* Linné. ეგზემპლარები ♀, ალბაძე, 31. VII. 1957; მოზარდი, ♂, ♂, ბიქინთა, ტბა ინკიტი, 3. VII. 1957; ♂, ლიძაძე, 9. VIII. 1957; ♂, აქარისწყალი, 24. V. 1958. შემგროვებელი და გამრკვევი ლ. ჩინჩალაძე.

თეთრი ბოლოქანქალა ჩვეულებრივი მოზუდარი ფრინველია საქველვი რაიონების უბნებში. ირჩევს მდინარეების—ბზიფის (30. VII. 1957), ქოქევირას (29. VII. 1957), ჭოროხისა და აქარისწყლის (24. V. 1958) სანაპიროებს, რიწისა (9. VIII. 1957) და ინკიტის ტბების (3. VIII. 1957) ახლო მდებარე ადგილებს. გვხვდება აგრეთვე ხელოვნური ტბებისა (გაგრა—პარკი, 18. VIII. 1957; ბათუმი—პიონერთა პარკი 7. VI. 1958) და შავი ზღვის სანაპიროებზედაც (გაგრა, 18. VIII. 1957; ბათუმი, 26. V. 1958). აღნიშნულ ადგილებში მოპოვებულია ზრდადასრულებული ფორმები და მოზარდებიც. დომბროვსკის [5] მიხედვით, თეთრი ბოლოქანქალა ორჯერ ბუდობს.

ჩვენ მიერ მოპოვებული ეგზემპლარების ჩინჩაბისა და კუქის შიგთავსში აღმოჩნდა პეწიანების და ნაირგვარი სოკოების ნაწილები და ქიანჭველები.

13. ევროპული მთის ბოლოქანქალა—*Motacilla cinerea cinerea* Tunstall. ეგზემპლარები ♀, გაგრა, 29. VII. 1957; ♀, კოლხიდა, 30. VII. 1957; ♂, აქარისწყალი, ♂, კახაბერი, 24. V. 1958; ♂, ბათუმი, 7. VI. 1958. შემგროვებელი და გამრკვევი ლ. ჩინჩალაძე.


მთის ბოლოქანქალა თეთრ ბოლოქანქალასთან შედარებით ნაკლებადაა გავრცელებული. მოზუდარია, ირჩევს მდინარეებისა და ნაკადულების ნაპირებს. რამდენჯერმე აღვრიცხეთ მთებში (გაგრის ქედი. მთა მტირალა)

[2] ცნობით, მთის ქეროზა ბუდობს ზღვის დონიდან დაწყებული მთის ძირამდე. ლაუნის [6] მთის ქეროზა აღრიცხული ჰყავს გაგრაში. სადაც ეს ფრინველი ტულინსაც [10] მოუპოვებია (♂, 16. IV). ნესტოროვის [7] აზრით, ფრინველის ვერტიკალური გავრცელება იწყება შავი ზღვის სანაპიროდან და წიწვიანი ტყის სარტყელამდე აღწევს.

ჩვენ მიერ მოპოვებული ქეროზას კუქის შიგთავსში სოკოების ნაწილები აღმოჩნდა.

და დაბლობშიაც მოვიპოვეთ (გაგრა, 29. VII. 1957; კოლხიდა, 30. VIII. 1957; კახაბერი, 24. V. 1958; ბათუმი, 7. VII. 1958). ვილკონსკის [2] მონაცემების მიხედვით, მთის ბოლოქანქალა მობინადრეა და აქარაში ბუდობს. ზამთარში იგი უმეტესად დაბლობ ადგილებში იმყოფება. ნესტეროვს [7] ეს ფრინველი არ აღურიცხავს ბათუმის მიდამოებში და კახაბერის დაბლობში.


ჩვენ მიერ მოპოვებული მთის ბოლოქანქალას ჩინჩახვისა და კუქის შიგთავსში ხოჭოების ნაწილების გარდა მატლებიც აღმოჩნდა.



სურ. 9. თეთრი ბოლოქანქალა

14. ირანული ჩვეულებრივი მგლინავა — *Certhia familiaris persica* Larudny et Loudon.

ეგზემპლარები ♀, ლესელიძე, 1. VIII. 1957; ♀, გაგრა, 9. VIII. 1957; ♂, მთაწარაბიკის ახლო, 16. VIII. 1957. შემგროვებელი და გამრქვევი ლ. ჩინჩალაძე.



სურ. 10. ირანული ჩვეულებრივი მგლინავა



ჩვეულებრივი მგლინავე იმ ფრინველთა ჯგუფს მიეკუთვნება, რომლებიც მოხერხებულად დატოცავენ ხეებსა და კლდეებზე. აღვრიცხეთ ლესელიძეში (1. VIII. 1957), გაგრაში (9. VIII. 1957) და მთა არაბიკის ახლოს წიწვიან ტყეში (16. VIII. 1957). ბათუმის რაიონში ეს ფრინველი არ შეგვხვედრია (18. V, 16. VI. 1958). ვილკონსკის [2] მხოლოდ ზამთარში აღვრიცხავს იგი. მახინჯაურის ხეობასა და საგარეებს ტყეში.

ჩვენ მიერ მოპოვებული მგლინავეს ჩინჩახვისა და კუჭის შიგთავსში აღმოჩნდა ფირფიტაულვაშიანები და ბზუალების ნაწილები.

15. კავკასიური ჩვეულებრივი ცოცია—*Sitta europaea caucasica* Reichenow.


ეგზემპლარები ♂, ბიჭვინთა, 13. VIII. 1957; ♂, ალახაძე, 13. VIII. 1957; ♂, გაგრის ქედი, 29. VII. 1957; ♂, ურები, 29. V. 1958. შემგროვებელი და გამრკვევი ლ. ჩინჩალაძე.

ცოცია საკვლევი რაიონების უბნებში დამახასიათებელია ყველგან. სადაც კი წიწვიანი ტყეა (გაგრის ქედი, ბიჭვინთა, მთა არაბიკის ფერდობი). იშვიათად ფოთლოვან ტყეშიაც (ჩახსუბანი—წიფლნარი, 27. V. 1958) გვხვდება. ამ ფრინველის ბარტყებიანი ბუდე აღვრიცხეთ (13. VI. 1958) სოფ. ყოროლისთავის ბოლოს, ტყეში. ადგილის მიუდგომლობის (დიდი დაქანება) გამო ბუდე ვერ მოვიპოვეთ. ვილკონსკის [2] მახინჯაურში აქვს მოპოვებული (25. VI) ცოციას ბუმბულშემოსილი ბარტყები. ლაუნცი [6] აღნიშნავს, რომ ცოცია ჩვეულებრივია (21. VI) მთის შუა ზოლში და ქედებზე გაგრის რაიონში.

ჩვენ მიერ მოპოვებული ცოციას ჩინჩახვისა და კუჭის შიგთავსში ხოჭოების ნაწილები აღმოჩნდა.

16. ჩვეულებრივი დიდი წიფწივა—*Parus major major* Linné.

ეგზემპლარები ♀, გაგრა, 27. VII. 1957; ♂, ჟოფეკარას ხეობა,



სურ. 11. ჩვეულებრივი დიდი წიფწივა

27. VII. 1957; ♀, ლესელიძე, 1. VIII. 1957; ♂, ♂, ბათუმი—ბარკი, 12. V. 1958; ♂, ბათუმი—ბოტანიკური ბაღი, 23. V. 1958; ♂, სიმონეთი, 31. V.

1958; ♂, ახალშენი, 6. VI. 1958; ♂, კახაბერი, 2. VII. 1958; ♂, მდ. ქობულხისა და აქარისწყლის შესართავი—სანაპირო, 2. VI. 1958. შემგროვებელი და გამრკვევი ლ. ჩინჩალაძე.

წიფწივა დამახასიათებელი ფრინველია საკვლევი რაიონებისათვის. იგი ყველგან გვხვდება—შავი ზღვის ნაპირას მდებარე ბაღებსა და პარკებში, პლანტაციებში და ხეივანებში, აგრეთვე მთის შუა ზოლის წიწვიანი და ფოთლოვანი ტყეების პირად. გარდა ამისა მისი ბუდობა აღრიცხულია ძველი გაგრის პარკში (8. VIII. 1957) და ბათუმის ბოტანიკურ ბაღში (23. V. 1958). ეს წიფწივა წილიწადში ორჯერ ბუდობს და გავრცელების ფართო არეალი უქირავს. აფხაზეთსა და აჭარაში იგი აღრიცხული ჰყავთ ვილკონსკის [2], დომბროვსკის [5], ნესტეროვს [7], ლაუნიცს [6], სატუნინსა [9] და ტულინს [10].

ჩვენ მიერ მოპოვებული დიდი წიფწივას ჩინჩახვისა და კუქის შიგთავსში აღმოჩნდა სიფრიფანაფრთიანებისა და ხოქოების ნაწილები.

17. კავკასიური წიწვიანა—*Parus caeruleus satunini* Zarudny.

ეგ ზემმლარები ♀, ურები, 29. V. 1958; ♀, აქარისწყალი, 30. V. 1958. შემგროვებელი და გამრკვევი ლ. ჩინჩალაძე.

წიფწივასთან შედარებით წიწვიანა ნაკლები რაოდენობითაა გავრცელებული. ჩვენ იგი ხშირად გვყავს აღრიცხული ბაღში, პარკში (ძველი გაგრა, 8. VIII. 1957; ბათუმი, 7. VI. 1958; მახინჯაური, [28. V. 1958) და მეჩხერი ფოთლოვანი ტყის კორომებში (აქარისწყალი, 24. V. 1958), სადაც მოვიპოვეთ (30. V. 1958) წიწვიანა, რომელსაც კრუხობის ნიშანი ეტყობოდა. ვილკონსკის [2] წიწვიანას მფრინავი მოზარდები აღურიცხავს (27. V) მახინჯაურის ხეობაში, ხოლო ტულინს [10] სამი დედალი წიწვიანა მოუპოვებია (♂, 13. V; ♂, 22. VI; ♂, 18. IX) გაგრაში.

საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტში დაცულია მენზბირის კოლექცია, რომელშიაც არის კავკასიური წიწვიანას ეგზემპლარები. ისინი მოპოვებულია ბათუმსა (♀, 4. III. 1891) და ციხისძირში (♀, 17. XII. 1891).

ჩვენ მიერ მოპოვებული ეგზემპლარების ჩინჩახვისა და კუქის შიგთავსში მხოლოდ პეწიანები აღმოჩნდა.

18. კავკასიური თოხიტარა—*Aegithalos caudatus major* Radde.

ეგ ზემმლარები ♂, ♀, აქარისწყალი, 28. V. 1958. შემგროვებელი და გამრკვევი ლ. ჩინჩალაძე.

თოხიტარა საკვლევი რაიონების მოზინადრე—მობუდარი ფრინველია. საერთოდ იგი მცირე რაოდენობით გვხვდება (გაგრის ქედი, რიწის ტბის მიდამოებში მდებარე ტყე, მახინჯაური). ჩვენ მხოლოდ ერთხელ აღვრიცხეთ ფოთლოვანი ტყის პირად ლელესთან—(29. V. 1958) ურებში. ორი დედალი კი მოვიპოვეთ (28. V. 1958) აქარისწყლის მიდამოებში. ვილკონსკის [2] ორი მოზარდი თოხიტარა აღრიცხული ჰყავს მახინჯაურის ხეობაში. მასვე შეხვედრია მათი გუნდი (23. V) 770 მ სიმაღლეზე—მურყანში გონიოსა და სარფას შორის. მკვლევრის აზრით, თოხიტარა ბუდობს აქარა-ახალციხის მთების ფერდობებზე.

საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტში ინახება მენზბირის კოლექცია, რომელშიაც დაცულია თოხიტარას ეგზემპლარები მახინჯა-



ურიდან (♂, 27. VII. 1892), ბათუმიდან (♂, ♀, 18. I. 1894) და სპარსეთის მიერ მოპოვებული მამალი ეგზემპლარი აფაანეთიდან (ტბა ბებესიონი, 19. IX. 1903).


ჩვენ მიერ მოპოვებული თოხიტარას ჩინჩახვისა და კუქის შიგთავსში აღმოჩნდა პეწიანები და ნაირგვარი ხოჭოების ნაწილები.



სურ. 12. კავკასიური თოხიტარა

19. კავკასიური ღაეო—*Lanius cristatus kobylini* Buturlin.


ეგზემპლარები ♂, განთიადი, 31. VII. 1957; ♀, ალახაძე, 13. VIII. 1957; ♀, კახაბერი, 24. V. 1958; ♂, ♀, ჩიგუნეთი, 24. 26. V. 1958; ♂, ჩაისუბანი, 27. V. 1958; ♂, მახო, 4. VI. 1958; ♂, ბათუმის გარეუბანი, 13. VI. 1958; ბუდე—გაგრა, 15. VIII. 1957; ბუდე 5 კვერცხით—ბათუმი, 5. VI. 1958. შემგროვებელი და გამრკვევი ლ. ჩინჩალაძე.



სურ. 13. კავკასიური ღაეო

კავკასიური ღაეო ერთ-ერთი ჩვეულებრივი მოზუდარი ფრინველია გაგრისა და ბათუმის რაიონში. იგი თითქმის ყველგან ბლომდაა, სადაც კი მისთვის ხელსაყრელი პირობებია შექმნილი. მას შეხვედებით შერეულ, ფოთლოვან, მეჩხერ ტყეებში, ბუჩქებში, ბაღებსა და ხეივანებში. ბათუმის რაიონში კავკასიური ღაეო მასობრივადაა გავრცელებული და ყველგან ბუდობს (18.

V. 16. VI. 1958). გაგრის რაიონში იგი ბუდობს აგვისტოში ანთავრებს (15. VIII. 1957). ერთეული ეგზემპლარები ზღვის დონიდან 1.100 მეტრის სიმაღლეზე აღვრიცხეთ მთა არაბიკის ტყიან ფერდობზე. კავკასიური ღაეო ნეს-



ტეროვს [7] მოუპოვებია ბათუმის მიდამოებში (23. 25. V. 1910). ტულინსკის [10] კი—გაგრაში (♂, 23. IV. 1904).

ჩვენ მიერ მოპოვებული ლაქოს ჩინჩახვისა და კუქის შიგთავსში აღმოჩნდა პეწიანების, ფირფიტაულვაშიანების ნაწილები და ქიანჭველები.

20. შავშუბლა ლაქო—*Lanius minor* Gmelin.

ეგ ზემპლარები ♂, ბზიფის ხეობა, 31. VII. 1957; ♂, ბათუმის გარეუბანი, 13. VI. 1958; ბუღე 5 კვერცხით—ბათუმი (ჩაის ბუჩქში), 28. V. 1958. შემგროვებელი და გამრკვევი ლ. ჩინჩალაძე.

შავშუბლა ლაქო უფრო ნაკლები რაოდენობით გვხვდება, ვიდრე კავკასიური. მისი საბინადროა გაშლილი ადგილების ეკლიანი ბუჩქები, პლანტაციები (გაგრა, განთიადი, ბათუმი, ბარცხანა). მთაში არ შეგვხვედრია (გაგრის ქედი, მთა მტირალა). ერთი მამალი შავშუბლა ლაქო მოვიპოვეთ (31. VII. 1957) ბზიფის ხეობაში, ხოლო მეორე ასეთივე—ბათუმის გარეუბანში (13. VII. 1958). ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა მოგვეპოვებია (28. V. 1958) შავშუბლა ლაქოს ბუღე 5 კვერცხით, ბათუმის გარეუბანში, ჩაის ბუჩქზე. ეს გარემოება მოწმობს იმას, რომ ბათუმის რაიონში ეს ფრინველი ნამდვილად ბუღობს. აღსანიშნავია, რომ ვილკონსკი [2] უარყოფს შავშუბლა ლაქოს ბუღობას ამიერკავკასიის დასავლეთ ნაწილში; რაც შეეხება დერიუგინს [4], ლაუნცსა [5] და ნესტეროვს [7], ისინი ლაქოს დასავლეთ ამიერკავკასიის რაიონებში მობუღრად თვლიან. დერიუგინს [4] დედალი (17. VIII. 1898), ხოლო ნესტეროვს [7] მოზარდი (1. IX. 1909) შავშუბლა ლაქო მოუპოვებიათ ბათუმის რაიონში. ეს ეგზემპლარები ინახება საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის ფონდებში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ზოოლოგიის განყოფილებაში ინახება შავშუბლა ლაქოს ეგზემპლარები, რომელთა შორის ერთი მოპოვებულია (10. V. 1910) ბათუმში.

ჩვენ მიერ მოპოვებული ეგზემპლარების ჩინჩახვისა და კუქის შიგთავსში აღმოჩნდა მახრა—*Gryllotalpa grullotalpa*-ს და პეწიანების ნაწილები.

21. ციმბირული რუხი ბუზიქერია — *Muscicapa striata naumanni* Poche.

ეგ ზემპლარები ♂, ძველი გაგრა, 27. VII. 1957; ♂, სალხინო, 27. VII. 1957; ♀, გრებეშოკი, 27. VII. 1957; ♀, ლესელიძე, 1. VIII. 1957; ♀, ნაკადული, 2. VIII. 1957; ♂, ძველი გაგრა, 10. VIII. 1957; ♀, ♀, ურები, 29. V. 1958; ♂, კახაბერი, 2. VI. 1958; ♀, ბარცხანა, 13. VI. 1958; ♂, ბათუმი, 13. VI. 1958; ბუღე 4 კვერცხით—ძველი გაგრა, ბაღი, 18. VII. 1957. შემგროვებელი და გამრკვევი ლ. ჩინჩალაძე.

ბუზიქერია შავი ზღვის სანაპიროს ახლო ადგილების მობუღარი ფრინველია. ამას მოწმობს მის შესახებ მოპოვებული მასალა. მოზარდი ბუზიქერიების ხშირი მიმოფრენა დამოწმებული გვაქვს კახაბერში (2. VI. 1958), ბარცხანაში (18. VII. 1958), ბათუმში (13. VI. 1958). ძველ გაგრაში კვიპაროსის ხიდან ჩვენ ჩამოვიღეთ (18. VII. 1957) მისი ბუღე 4 კვერცხით. ვილკონსკის [2] უნახავს (27. V) კვერცხებზე მჯდომი დედალი ბუზიქერია მახინჯაურის ხეობაში. ნესტეროვს [7] მობუღარი ნაცრისფერი ბუზიქერია აღურიცხავს ბათუმის ერთ-ერთ ბაღში და აგრეთვე კახაბერის დაბლობში (22. VII). ყოველივე ამის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ფრინველი წილწადში ორჯერ ბუღობს შავი ზღვის სანაპირო ადგილებში.

ჩვენ მიერ მოპოვებული ბუზიჭერიას ჩინჩახვისა და კუქის შიგთავსში აღმოჩნდა სიფრიფანაფრთიანებისა და ხოჭოების ნაწილები.

22. კავკასიური ქედია—ყარანა—*Phylloscopus collybitus lorenzii* Lorenz. ეგ ზემო მკლარები ♀, ალაბაძე, 13. VIII. 1957; ♂, აჭარისწყალი, 30. V. 1958. შემგროვებელი და გამრკვევი ლ. ჩინჩალაძე.

კავკასიური ქედია—ყარანა უმთავრესად გვხვდება საკვლევი უბნების ტყიან ადგილებში. იგი თითქმის ალპურ ზონამდე აღის. ჩვენ მიერ მოპოვებულ დედალსა (13. VIII. 1957) და მამალყარანას (30. V. 1958) კრუხობის ნიშანი აჩნდათ. მაშასადამე, ორივე მათგანი კრუხობს. ვილკონსკის [2] ამ ფრინველის ბუდობა აღრიცხული აქვს (12. V. 1892) მახინჯაურის ხეობაში (ზღვის დონიდან 1200 მ სიმაღლეზე) და სოფელ ბესლეთში. ტულინს [10] მამალი ყარანა კალდახვარში მოუპოვებია (26. IX. 1904).

ჩვენ მიერ მოპოვებული ყარანას ჩინჩახვისა და კუქის შიგთავსში ხოჭოების ნაწილები აღმოჩნდა.




სურ. 14. კავკასიური ქედია—ყარანა

23. კავკასიური შავთავა ბულბულა—*Sylvia atricapilla damholzi* Stresemann.

ეგ ზემო მკლარები ♂, ძველი გაგრა, 27. VII. 1957; ♀, ურები, 29. V. 1958; ♀, სიმონეთი, 4. VI. 1958; ♀, ანაგისა, 8. VI. 1958; ბუდე 5 კვერცხით—ურები, 29. V. 1958. შემგროვებელი და გამრკვევი ლ. ჩინჩალაძე.

შავთავა ბულბულა მრავლად გვხვდება ბაღებსა, ხეივანებსა და პარკებში, სადაც სასიამოვნოდ გალობს ხოლმე. იგი თამამად აღის მალალ ზონაში, ხოლო ბინადრობა თითქმის მთის შუა ზონამდე აღწევს. უპირატესობას აძლევს გაუვალ ბუჩქნარსა და შამბნარს. ბულბულა მაისში ბუდობს. ამას მოწმობს ჩვენ მიერ მოპოვებული მისი ბუდე 5 კვერცხით (ურები, 29. V. 1958). ვილკონსკის [2] მონაცემებით, შავთავა ბულბულა ყველგანაა ზღვის დონიდან დაწყებული წიფლნარის ზონამდე. ამავე მკვლევარს მახინჯაურის ხეობაში ბუჩქზე ნახული აქვს (27. V. 1892) ბუდე 4 ბარტყით, ყოროლისწყლის ხეობაში (ზღვის დონიდან 300 მ) კი ფიჩხებში ბუდე 4 კვერცხით. დომბროვსკის [5] მრავლად აღრიცხავს



სურ. 15. კავკასიური შავთავა ბულბულა

ასეთი ფაქტები ციხისძირში (10. VIII. 1910). აქ მას მამალი შავთავა ბულბულა მოუპოვებია (2. VII. 1909). ტულინს [10] ეს ფრინველი უნახავს (11. IV) გაგრაში.

ჩვენ მიერ მოპოვებული შავთავა ბულბულას ჩინჩახვისა და კუქის შიგთავსში აღმოჩნდა ხოჭოების ნაწილები და სარეველას თესვები.

24. კავკასიური რუხი ბულბულა—*Sylvia communis icterops* Ménètrié. ეგზემპლარები ♀, მთა მტირალა, 13. VI. 1958. შემგროვებელი და გამრკვევი ლ. ჩინჩალაძე.

რუხი ბულბულა აღვრიცხეთ დაბლობში—ძველი გაგრის ერთ-ერთ ბაღში (8. VIII. 1957). ასეთივე დედალი ბულბულა მოვიპოვეთ აგრეთვე მთა მტირალაზე (13. VI. 1958). დემენტიევის [3] მონაცემებით, ეს ფრინველი კავკასიაში შავი ზღვის სანაპიროზე სახლობს ბუჩქნარებსა და შამბნარებში, შეჩხერ ტყეში მთის ფერდობზე და აგრეთვე ქაიციანსა და ძეძვიან ადგილებში, მდინარეების ხეობაში. ნესტეროვი [7] ბულბულას მოპოვებულად თვლის მთების ქვედა ზოლში, სადაც ამ ფრინველის ადგილსამყოფლად მიაჩნია კაკლის, ხურმისა და თუთის ბაღები, მთის ფერდობი დაფარული რცხილნარ, მუხითა და ძეძვიანებით.

ჩვენ მიერ მოპოვებული რუხი ბულბულას კუქის შიგთავსში აღმოჩნდა ხოქოს ნაწილები.

25. აღმოსავლური ჯიჯლი ანუ მგალობელი შაშვი—*Turdus ericetorum philomelos* Brehm.

ეგზემპლარები ♀, გაგრა—ტყის პირი, 16. VIII. 1957. შემგროვებელი ფ. სარდია. გამრკვევი ლ. ჩინჩალაძე.

ჩვენი მუშაობის პერიოდში გაგრისა და ბათუმის რაიონებში მგალობელი შაშვი რატომღაც არ შეგვხვედრია. მხოლოდ ერთი დედალი შაშვი გადმოგვცა მეტყევე ფ. სარდიამ. რომელიც მოუკლავს (16. VIII. 1957) გაგრის ახლოს მდებარე წიწვიანი ტყის პირად ვალობის დროს. ლაუნციც [6] მგალობელი შაშვი შეხვედრია გუდაუთადან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით. ტულინს [10] დედალი შაშვი მოუპოვებია (12. IV. 1904) გაგრაში.

საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტში ნენზბირის კოლექციაში წარმოდგენილია მგალობელი შაშვის ეგზემპლარები. ისინი მოპოვებულია (♂, 21, XII. 1891; ♀, 27. X. 1892; ♂, 26. II. 1894) ბათუმში.

მოპოვებულ შაშვის კუქის შიგთავსში აღმოჩნდა მავთულა ქიის მატლი და ხოქოების ნაწილები.

26. ევროპული შაშვი—*Turdus merula merula* Linné.


ეგზემპლარები ♀, გაგრის ქედი, 29. VII. 1957; ♂, ბიჭვინთა—ბზის ტყე, 3. VIII. 1957; ♀, ახალშენი. 6. VI. 1958. შემგროვებელი და გამრკვევი ლ. ჩინჩალაძე.

შაშვი იშვიათად გვხვდება საკვლევი რაიონების წიწვიან ტყეებში (გაგრის ქედი, ტბა რიწის ახლო მდებარე მთის კალთები). ის უფრო მეტად ირჩევს ფოთლოვანი ტყის პირსა და ბუჩქნარებს (აქარისწყალი, შრები). გვხვდება აგრეთვე ბაღებში, პლანტაციებზე (ღესელიძე, ძველი გაგრა, კოლხიდა, მახინჯაური) და პარკებში (ბათუმი). ვილკონსკის [2] ამ შაშვის ზულდ სამი კვერცხით უნახავს (21. V. 1892) მთა მტირალას ფერდობზე, ხო-



ლო ბარტყებით (27. V. 1892) მახინჯაურის ხეობაში. ლაუნის [6] სუთი შაში შეხვედრია (22. VI) გაგრის ზემოთ. ტულინს [10] კალადაში მოუპოვებია (12. IV. 1904) ერთი მამალი შაში. ნესტეროვს [7] შიშველ კლდეზე ალურიცხავს (22. VII. 1908) მოზარდები.

ჩვენ მიერ მოპოვებული შაშის ჩინჩახვისა და კუჭის შიგთავსში აღმოჩნდა ბზუალების, ბაღლინჯოების, პეწიანების ნაწილები და შინდის კურკა.



სურ. 16. ევროპული შაში

27. ევროპული ჩვეულებრივი ბოლოცეცხლა—*Phoenicurus phoenicurus phoenicurus* Linné.

ეგზემპლარები ♂, გრებეშოკი, 16. VII. 1957; მოზარდი—ძველი გაგრა, 16. VIII. 1957; ♂, ახალი გაგრა, 21. VIII. 1957; ♀, სიმონეთი, 4. VI. 1958; ♀, ბათუმი, 12. VI. 1958; ♂, მთა მტირალა, 13. VI. 1958; ბუდე 4 კვერცხით—სიმონეთი, 5. VI. 1958. შემგროვებელი და გამრკვევი ლ. ჩინჩალაძე.


ბოლოცეცხლა საკმაო რაოდენობით მოიპოვება და ბუდობს საკვლევ ტერიტორიაზე. საბინადროდ აშჯობინებს კულტურულ ლანდშაფტს. ზღვის სანაპიროებ-

ზე რამდენჯერმე აღვრიცხეთ ბაღებში (გაგრა, ბიჭვინთა, ბათუმი, ბარცხანა). მთა მტირალაზე მოვიპოვეთ (13. VI. 1958) მამალი ბოლოცეცხლა, რომელიც ბუჩქზე იჯდა. გაგრაში მფრინავი (16. VIII. 1957) მოზარდები განგურობდნენ. ბუდეში ახლად დადებული ოთხი კვერცი მოვიპოვეთ (5. VII. 1958) სიმონეთში. ჩვეულებრივი ბოლოცეცხლა წელიწადში ორჯერ უნდა ბუდობდეს. დერიუგინს [4] ერთი ეგზემპლარი მოუპოვებია (2. IX) ბუჩქში. მდ. ჭოროხის ნაპირას, ბათუმთან ახლო. ნესტეროვს [7] სოფ. ბეშაულში (21. VI), ხოლო ტულინს [10] კალადახვარში მოუპოვებია ჩვეულებრივი ბოლოცეცხლას თითო ეგზემპლარი.


ჩვენი ეგზემპლარების ჩინჩახვისა და კუჭის შიგთავსში აღმოჩნდა სიფრიფანაფრთიანები, ქიამაია, მცენარეთა თესლები და კენჭები.

28. კავკასიური გულწითელა—*Erithacus rubecula caucasicus* Buturlin. ეგზემპლარები მოზარდი, გაგრა, 10. VII. 1957; ♀, სიმონეთი, 31. V. 1958; ♂, კახაბერი, 2. VI. 1958. ♀, მთა მტირალა, 13. VI. 1958. შემგროვებელი და გამრკვევი ლ. ჩინჩალაძე.

კავკასიური გულწითელა საკვლევ რაიონების ჩვეულებრივი მობინადრე—მომბუდარი ფრინველია. უმთავრესად ბუდობს ტყის ზოლში და დაბლობ ად-



გილებში—შამზნარში. უფრო მეტად ეტანება ფოთლოვან ტყეს (აპარისწყალი სიმონეთი, მთა მტირალა), ნაკლებად—წიწვიანს (ახალი გაგრის მიდამოები). ერთხელ იგი აღვრიცხეთ (26. V. 1958) ბათუმში—პარკში, სადაც ბუჭქიდან გამოძვრა და მავნოლიის მაღალ ხეზე დაფრინდა. ჩვენ მიერ მოპოვებულ (♀, 31. V. 1958; ♂, 2. VI. 1958; ♀, 13. VI. 1958) ეგზემპლარებს, როგორც დედლებს, ისე მამლებს კრუხობის ნიშანი ემჩნეოდათ. ჩანს, დედალ-მამალი გულწითელა ორივე კრუხობს. მოზარდები ივნისში (10. VII. 1957) უკვე თავისუფლად ფრენენ. ჩიკვიშვილი [1] აღნიშნავს, რომ კავკასიური გულწითელა მოზინდრეა, ე. ი. ზამთარშიაც არის დასავლეთ საქართველოში. ნესტეროვის [7] მიხედვით ეს ფრინველი ფოთლოვან ტყეში უფრო მეტად ცხოვრობს, ვიდრე წიწვიანში.




სურ. 17. კავკასიური გულწითელა

ჩვენ მიერ მოპოვებული გულწითელას ჩინჩახვისა და კუქის შიგთავსში აღმოჩნდა ხოჭოების ნაწილები და თესლები.

29. ევროპული კინკრაქა—*Troglodytes troglodytes troglodytes* Linn. ეგზემპლარები ♀, მთა არაბიკის ახლო, 16. VIII. 1957; ♀, სიმონეთი, 4. VI. 1958; ♀, ახალშენი, 6. VI. 1958; ♀, მთა მტირალა, 13. VI. 1958; შემგროვებელი და გამრკვევი ლ. ჩინჩალაძე.

კინკრაქა დამახასიათებელი მოზინდრე-მობუღარი ფრინველია საკვლევი




სურ. 18. ევროპული კინკრაქა

ტერიტორიის ქვეტყეებისა (გაგრის ქედი, არაბიკისა და მტირალას ფერდობები). ერთი დედალი კინკრაქა მოვიპოვეთ (4. VI. 1958) მაყვლისა და ეკალას ბარდებში სიმონეთში. მას ბუდე ჰქონდა იქ. ბუდის მოპოვება ვერ მოვახერხეთ, ვინაიდან მიუვალ ადგილზე იყო გაკეთებული. მოპოვებულ დედალ კინკრაქებს კრუხობის ნიშანი ეტყობოდათ. ახალშენში აღვრიცხეთ (6. VI. 1958) კინკრაქების მთელი გუნდი. ვილკონსკის [2] ჩვენებით, კინკრაქა ზამთრობით უფრო მეტად დაბლობში იმყოფება, ზაფხულობით კი ზედა ზოლისაკენ მიიწევს. ნესტეროვის [7] მიხედვით

ეს ფორმა იშვიათი არ არის ფიქვნარსა და ნაძვნარში. სატუნინს [8,9] იგი აღვრიცხავს როგორც ბიჭვინთაში (27. X. 1912), ისე გაგრაში (1. XI. 1912). ტულინს [10] კავკასიური კინკრაქა კალდახვარში მოუპოვებია (22. IX).

10. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XX—A




ჩვენ მიერ მოპოვებული ჭინჭრაქას ჩინჩაზვისა და კუქის შიგთავსში აღმოჩნდა ხოჭოების ნაწილები და მცენარეთა თესლები.

30. ჩვეულებრივი შავმუცელა წყლის შაში — *Cinclus cinclus cinclus* Linné. ეგ ზემოქართლები ♂, აჭარისწყალი, 28. V. 1958. შემგროვებელი და გამრკვევი ლ. ჩინჩალაძე.

ჩვეულებრივი შავმუცელა წყლის შაში მცირე რაოდენობით გვხვდება, კერძოდ, აჭარისწყლისა და ყოროლისწყლის სანაპიროებზე. აჭარისწყალზე მოპოვებულ (28. V. 1958) დედალს კრუხობის ნიშანი აჩნდა, რაც იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ ის ამ მიდამოებში არის და მაისში ბუდობს. ვილკონსკი [2] აღნიშნავს, რომ წყლის შაში მდ. ჭოროხის ხეობაში ჩვეულებრივია. ნესტეროვის [7] მონაცემებით, იგი იშვიათი არ არის სამხრეთ-დასავლეთ ამიერკავკასიისთვისაც. მხოლოდ ბათუმის დაბლობში ვერ უნახავს მას წყლის შაში. ტულინს [10] წყლის შაში გაგრასა (♀, 12. IX) და კალდახვარში მოუპოვებია (♂, 26. IX).

საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის ფონდებში ინახება მენზბირის (აჭარა, ♂, 3. 5. VIII. 1892), ნესტეროვისა (არსიანის ქედი, ♀, 20. VII. 1909) და დერაიუგინის მიერ (ბათუმში, მოზარდი, 17. 18. VI. 1898) მოპოვებული წყლის შაშის ეგზემპლარები.

ჩვენ მიერ მოპოვებული შავმუცელა წყლის შაშის კუქის შიგთავსში აღმოჩნდა ხოჭოების ნაწილები.




სურ. 19. ჩვეულებრივი შავმუცელა წყლის შაში

31. ევროპული სოფლის მერცხალი — *Hirundo rustica rustica* Linné.

ეგ ზემოქართლები ♀, ძველი გაგრა, 17. VII. 1957; ♀, კოლიდა, 30. VII. 1957; ♂, განთიადი, 30. VII. 1957; ♂, ახალი გაგრა, 31. VII. 1957. შემგროვებელი და გამრკვევი ლ. ჩინჩალაძე.

საკვლევ რაიონში (გაგრა) მუშაობისას მრავლად გვხვდებოდა (26. VIII. 15. VIII. 1957) სოფლის მერცხალი როგორც გუნდებად, ისე წყვილების სახით. უმეტესად იგი კულტურულ ლანდშაფტში იყო წარმოდგენილი (გაგრა, ბიჭვინთა, სალხინო, ლესელიძე, განთიადი). მერცხლებს ბუდობა უკვე დამთავრებული ჰქონდათ (31. VII. 1957). ამას მოწმობდა მოპოვებული ეგზემპლარების კრუხობის ნიშანი. ბათუმის რაიონში მუშაობის დროს (19. V; 18. VI. 1958) არ შეგვხვდებოდა სოფლის მერცხალი (ბათუმი, მახინჯაური, ჩაისუბანი, ურები). მას ყველგან ცვლიდა ქალაქის მერცხალი. ვილკონსკი [2] აღნიშნავს,

რომ ამ სახის მერცხლის ბუდობა მას არ აღურიცხავს აპარაში მტის მდელოდან დაწყებული, მდ. კოროხთან აპარისწყლის შესართავამდე. მაგრამ ნესტეროვა [7] მცირე რაოდენობით მაინც აღრიცხა (4. 5. VI) იგი ბათუმის ვარეუბანში.



სურ. 20. ვერობული სოფლის მერცხალი

საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის ფონდებში ინახება სოფლის მერცხლის მამალი ეგზემპლარი, რომელიც სატუნის [9] ნოუპოვებია (2. IV. 1908) ბიკვინთაში.

ჩვენ მიერ მოპოვებული ეგზემპლარების ჩინჩახვისა და კუქის შიგთავსში აღმოჩნდა ბაღლინჯოებისა და პეწიანის ნაწილები.

32. ხმელთაშუაზღვისეული ქალაქის მერცხალი — *Delichon urbica meridionalis* Hartert.

ეგზემპლარები ♂, კოლხიდა, 30. VII. 1957; ♂, ♀, 1 კვერცი — აპარისწყალი, 24. V. 1958. შემგროვებელი და გამრკვევი ლ. ჩინჩალაძე.

ქალაქის მერცხალი ჩვეულებრივი მობუდარია საკლდევი რაიონების მდამოებში. პირველად ბუდობს მაისში, მეორედ — ივნისში. უფრო მეტი რაოდენობითაა შავი ზღვის სანაპიროს ახლო ადგილებში (გაგრა, კოლხიდა, მახინჯაური, ბათუმი) — ნაგებობებში. წყვილები აღრიცხულია შავი ზღვის სანაპიროს დაშორებითაც (აპარისწყალი, ჩაისუბანი, ბზიფი). ვილკონსკიმ [2] ბუდეში ნახა ბარტყები (ხულო, 15. VI. 1893); ლაუნცივა [6] მერცხლის ბუდობა ქვის ნაგებობაში აღრიცხა გაგრაში. ნესტეროვს [7] შეხვედრია (28. 30. VII) ალპურ მდელოზე არსიანის ტბის ახლო.

ჩვენ მიერ მოპოვებული მერცხლის ჩინჩახვისა და კუქის შიგთავსში აღმოჩნდა ფირფიტაულვაშიანების ნაწილები და მცენარეთა თესლები.

ა ბ ს კ ვ ნ მ გ ი

საკლდევი მუშაობა ბელურასნაირი ფრინველების გავრცელების გასარკვევად წარმოებდა ნაირგვარ ბიოტოპებში გაგრისა (1957 წ. 23. ივნისიდან 23 აგვისტომდე) და ბათუმის (1958 წ. 18 მაისიდან 18 ივნისამდე) რაიონებში.



მუშაობისას გაირკვა, რომ საკვლევი დროის მანძილზე აღნიშნული რაიონების მრავალფეროვან ბიოტოპებში—ტყე, ხეობა, პარკი, ყანა, პლანტაცია, ბაღი, აგრეთვე, ზღვისა და მდინარის, ტბისა და ქაობის ნაპირებზე გვხვდება ნაირგვარი ბელურასნაირი ფრინველების 32 ფორმა, რომელთა შორის 31 მობუდარია. ერთი ფორმის, ჩვეულებრივი ქილყავის ბუღობა კი (იხ. ცხრილი) არ არის აღრიცხული.

გაგრისა და ბათუმის რაიონების ბელურასნაირი ფრინველების უმრავლესობა ბაღის, პარკის, ტყის, ბუჩქისა და შამშნარის მცხოვრებია და სასარგებლონი არიან როგორც მავნე მწერების განადგურების, ისე ესთეტიკური თვალსაზრისით.

გაგრისა და ბათუმის რაიონების მობუდარი ბელურასნაირი ფრინველების სია

№	ფრინველების დასახელება	გაგრის რაიონი	ბათუმის რაიონი
1	<i>Corvus corone sharpii</i> Oates	+	+
2	<i>Corvus frugilegus frugilegus</i> Linné	×	+
3	<i>Garrulus glandarius krynicki</i> Kalenicezenko	+	+
4	<i>Pastor roseus</i> Linné	—	+
5	<i>Coccyzus coccyzoides nigricans</i> Buturlin	+	+
6	<i>Chloris chloris bilkewitschi</i> Zarudny	+	+
7	<i>Carduelis carduelis brevirostris</i> Zarudny	+	+
8	<i>Carduelis flavirostris brevirostris</i> Moore	+	+
9	<i>Fringilla coelebs solomkoi</i> Menzbier et Suschkin	+	+
10	<i>Passer domesticus domesticus</i> Linné	+	+
11	<i>Emberiza cia prageri</i> Laubmann	—	+
12	<i>Motacilla alba alba</i> Linné	+	—
13	<i>Motacilla cinerea cinerea</i> Tunstall	+	—
14	<i>Certhia familiaris persica</i> Zarudny et Loudon	+	—
15	<i>Sitta europaea caucasica</i> Reichenow	+	—
16	<i>Parus major major</i> Linné	+	+
17	<i>Parus coeruleus satunini</i> Zarudny	+	+
18	<i>Aegithalos caudatus major</i> Radde	+	—
19	<i>Lanius cristatus kobylini</i> Buturlin	+	+
20	<i>Lanius minor</i> Gmelin	+	+
21	<i>Muscicapa striata naumanni</i> Poche	+	+
22	<i>Phylloscopus collybitis lorenzii</i> Lorenz	+	+
23	<i>Sylvia atricapilla dammholzi</i> Stzesemann	+	+
24	<i>Sylvia communis icterops</i> Ménètrié	+	+
25	<i>Turdus ericetorum philomelos</i> Brehm	+	—
26	<i>Turdus merula merula</i> Linné	+	+
27	<i>Phoenicurus phoenicurus phoenicurus</i> Linné	+	+
28	<i>Erithacus rubecula caucasicus</i> Buturlin	+	+
29	<i>Troglodytes troglodytes troglodytes</i> Linné	+	+
30	<i>Cinclus cinclus cinclus</i> Linné	—	+
31	<i>Hirundo rustica rustica</i> Linné	+	—
32	<i>Delichon urbica meridionalis</i> Hartert	+	+

ნიშნები:

- + მობუდარი ფრინველი, რომელიც ჩვენ მიერაა მოპოვებული.
- ფრინველი, რომელიც არ მოპოვებულა.
- ×
- ფრინველი მოპოვებულია, მხოლოდ ბუღობა არ არის აღრიცხული.

Л. М. ЧИНЧАЛАДЗЕ

МАТЕРИАЛЫ К ИЗУЧЕНИЮ ПТИЦ СУБТРОПИЧЕСКИХ РАЙОНОВ (ГАГРСКИЙ, БАТУМСКИЙ) ГРУЗИИ

Резюме

С целью изучения воробьиных птиц субтропических районов Грузии нами проводилась работа по биотопам Гагрского (в 1957 г. с 23 июля по 23 августа) и Батумского (в 1957 г. с 18 мая по 18 июня) районов.

В результате исследований многообразных биотопов: леса, рощи, парка, поля, плантации, садов, а так же черноморского побережья, озер и болот—выявлено 32 вида воробьиных птиц.

Из них 31 вид—гнездящийся (см. табл.), а обыкновенный грач, хотя и добыт нами (Гагрский район, сел. Кожхида, 30. VII. 1957) в летнее время, но его гнездование нами не зарегистрировано.

Большинство воробьиных птиц Гагрского и Батумского районов гнездятся в садах, парках, лесах, кустарниках, зарослях и являются полезными как в истреблении вредных насекомых, так и в эстетическом отношении.

ლიტერატურა—ЛИТЕРАТУРА

1. ჩინჩალაძე ლ. ივ., საქართველოს ფრინველები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIV—A, თბილისი, 1949.
2. Вильконский Ф. В., Орнитологическая фауна Аджарии, Гурии и Северо-Восточной части Лазистана, Москва, 1897.
3. Деметьев Г. П. и другие, Птицы Советского Союза, т. V, VI, Гос. Изд. „Советская наука“, Москва, 1954.
4. Дерюгин К. М. Материалы по орнитофауне Чорохского Края (Юго-Западное Закавказье) и окрестностей Трапезунда, Ежег. Зоол. Музея Имп. Академия наук, т. V, 1900.
5. Домбровский Б. А., Материалы для изучения птиц Колхиды, Аджарии и сопредельных стран, Изд. Киевского орнит. общества им. К. Ф. Кесслера, 1912.
6. Лауниц К. В., Материалы для орнитофауны черноморского побережья Кавказа, Журн. Птицеведение и птицеводство, вып. 3, 4, 1912.
7. Нестеров П. В., Материалы для орнитофауны Батумской области (Юго-Западное, Закавказье), Известия Кавказского Музея, т. V, 1911.
8. Сатунин К. А., К орнитофауне Батумской области, Известия Кавказского Музея, т. V, 1911.
9. Сатунин К. А., К орнитологии Абхазии, Тбилиси, 1913.
10. Тюлин Н., Отчет об экскурсии по прибрежной полосе Абхазии в 1904 году, Труды Импер. С.-Петербургского общ. естествоисп., т. XXXVI, вып. 1905—1906.
11. Р. Г. Жордания, Терминологический словарь птиц Грузии (латинская, грузинская, русская и немецкая номенклатура), Тбилиси, 1960.

ა. ვაშაკიძე

მასალები თბილისის მიდამოებში გავრცელებული
HETPROCERA-ს ზოგიერთი სახეობის შესახებ

აქ წარმოდგენილი ქერცლფრთიანების სია შედგენილია ველზე შეგროვილი მასალების შედეგად, რომელსაც ვაწარმოებდით 1938 წ., თბილისის მიდამოებში, სახელდობრ ხუდატოვის ტყეში.

შეგროვებას ვახდენდით უმეტეს შემთხვევაში ღამით—სინათლეზე. ქვემოთ მოყვანილი სია არ იქნება ამომწურავი, მაგრამ ერთგვარ წარმოდგენას იძლევა თბილისის მიდამოების *Heterocera*-ს ზოგიერთი სახის შესახებ.

Lepidoptera

Heterocera

ოჯახი I. LYMANTRIIDAE

1. *Lymantria dispar* L.

იენისი. ცნობილია როგორც ფოთლოვანი და წიწვიანი ჯიშების და ბალახმცენარეების მავნებელი (*Quercus*, *Platanus*, *Betulae*. *Acer*. *Malus domestica* Bork. *Tuja*. *Pinus*).

ოჯახი II. NOCTUIDAE

1. *Acronycta Psi* L.

იენისი. სინათლეზე.

აღნიშნულია სხვადასხვა ფოთლოვან ხეებზე (*Prunus spinosa* L. *Rosa canina* L. *Platanus*, *Salix*, *Alnus*).

2. *Graphiphora c-nigrum* L.

იენისი. სინათლეზე.

აზიანებს ბოსტნის და ხეხილის კულტურებს (*Beta vulgaris* L. *Vitis vinifera* L. *Ribes vulgare* Lam. *Ribes grossularia* L.) (გვხვდება ბალახმცენარეებზეც (*Medicago sativa* L. *Urtica urens*, *Urtica dioica* L. *Verbascum*, *Epilobium*).

3. *Agrotis ypsilon* Rott.

იენისი. სინათლეზე.

აზიანებს ხორბლოვანებს და *Gossypium*, *Nicotiana tabacum* L. *Pelargonium roseum* Ait. *Helianthus annuus* L. *Beta vulgaris* L. *Phaseolus vulgaris* Sav. *Zea mais* L. *Medicago sativa* L. *Boehmeria nivea* Hook. *Batatus edulis* Ch. *Hibiscus cannabinus* L. *Solanum tuberosum* L. *Lycopersicum esculentum* Mill.

4. *Triphaena pronuba* L.

იენისი, სინათლეზე. პოლიფაგია.
აზიანებს ბოსტნის კულტურებს და სათიბ ბალახს (*Brassica*, *Secale*,
Vitis vinifera).

5. *Neuronia cespitis* L.

იენისი, ხორბლოვანებზე.
გვხვდება აგრეთვე *Agropyrum ramosum* Rich. *Deschampsia caespitosa*
P. B.-ზე.

6. *Barathra brassicae* L.

იენისი, სინათლეზე.
პოლიფაგია. ლიტერატურული მონაცემების ნიხედვით გვხვდება შემდეგ
კულტურულ მცენარეებზე: *Brassica*, *Pisum sativum* L. *Vicia vulgaris* M.
Cucurbita pepo L. *Lactuca sativa* L. *Heliantus annuus* L. *Nicotiana*
tabacum L. *Beta vulgaris* L. *Cucumis sativus* L. *Sambucus obulus* L.
Brassica repa v. rapifera Mentz. *Allium cepa* L. *Canabis sativa* L. *Ara-*
chis hypogaea L. *Ricinus communis* L. *Brassica napus var. rapifera* M.
Sesamum indicum L. *Carthamus tinctorium* L.

7. *Mamestra oleraceae* L.

იენისი, სინათლეზე.
პოლიფაგია. გვხვდება შემდეგ მცენარეებზე: *Brassica*, *Rumex acetosa* L.
Vicia vulgaris Moln. *Beta vulgaris* L. *Lycopersicum esculentum* Mill.
Lactuca sativa L. *Solanum tuberosum* L. *Phaseolus vulgaris* Sav. *Amaran-*
tus retroflexus L. *Lactuca serriola* L. *Plantago major* L. *Resega lutea* L.
Rubus adaeus L. *Nicotiana tabacum* L. *Salix*.

8. *Scotogramma trifolii* Rott.

იენისი, სინათლეზე.
პოლიფაგია. გვხვდება შემდეგ მცენარეებზე: *Beta vulgaris* L. *Medicago*
sativa L. *Amarantus retroflexus* L. *Brassica*, *Asparagus officinalis* L. *Pero sel-*
inum hortense Hof. *Apium graveolens* L. *Lactuca sativa* L. *Trifolium medium*
L. *Callistephus chinensis* L. *Tagetes patula* L. *Zea mais* L. *Picinus communis*
L. *Linum usitatissimum* L. *Arachis hypogaea* L. *Cicer arietinum* L. *Atrip-*
lex, *Chenopodium*.

9. *Scotogramma dianthi* Tausch.

იენისი, სინათლეზე.

10. *Dipterigia scabriuscula* L.


ნოემბერი, სინათლეზე.

აღნიშნულია *Polygonum aviculare* L. *Rumex acetosa*-ზე.

11. *Leucania lithargyria* Esp.

იენისი, სინათლეზე.

აღნიშნულია ხორბლოვანებზე და ბალახმცენარეებზე.



12. *Leucania L—album L.*

იენისი, სინათლეზე.

გვხვდება შემდეგ მცენარეებზე: *Setaria glauca* P. B. Rumex. *Bolbas aenus maritimus* Pall. ხორბლოვანებზე.

13. *Laphygma exigua* Hb.

ნოემბერი. სინათლეზე. პოლიფაგია.

აზიანებს *Zea mais* L. *Nicotiana tabacum* L. *Lycopersicum esculentum* L. *Polargonium roseum* Ait. *Caspium annuum* L. *Brassica*, *Allium cepa* L. *Beta vulgaris* L. *Medicago sativa* L. *Plantago major* L. *Rumex acetosa* L. *Polygonum aviculare* L. *Chenopodiaceae*, *compositae*.

14. *Xylocampa areola* Esp.

ნოემბერი. სინათლეზე.

გვხვდება *Lonicera iberica* M. B-ზე.

15. *Cuculia scrophularia* Cap.

ნოემბერი. სინათლეზე.

გვხვდება *Verbascum*, *Scrophularia*-ზე.

16. *Cleophana antirrhinii* Hb.

იენისი. სინათლეზე.

აღნიშნულია *Scabiosa caucasica* Vill. *Linaria*-ზე.

17. *Pyrrhia victorina* Sod.

იენისი. სინათლეზე.

გვხვდება *Ononis*-ზე.

18. *Erastria trabealis* Esp.

იენისი. სინათლეზე და დღისით ცეცვის დროს.

ცნობილია *Convolvulus arvensis* L. *Medicago sativa*-ზე.

19. *Phytometra (Plusia) gamma* L.

ნოემბერი. სინათლეზე. ფრენს დღისითაც.

ლიტერატურული მონაცემების მიხედვით გვხვდება შემდეგ მცენარეებზე: *Trifolium medium* L. *Urtica urens* L. *Linum usitatissimum* L. *Ononis*. *Polygonum ariculare* L. *Medicago sativa*. *Beta vulgaris* L. *Pisum sativum* L. *Brassica*, *Solanum tuberosum* L. *Daucus carota* L. *Allium cepa* L. *Cucumis sativus* L. და ახალგაზრდა ფიჭვებზე.

20. *Grammodes algira* L.

იენისი. სინათლეზე და დღისით—ბალახმცენარეებზე.

აღნიშნულია *Rubus adaeus* L. *Acroptilon repens* Dc. *Lythrum virgatum* L. *Rubus*-ზე.

21. *Catocala elocata* L.

იენისი. სინათლეზე.
დიდი რაოდენობით. გვხვდება *Platanus*, *Salix* *Populus tremula* L.-ზე.

22. *Catocala hymenaea* L.

ნოემბერი. სინათლეზე.
გვხვდება *Prunus spinosa* L.-ზე.

23. *Hypena munitalis* Menn.

მაისი. სინათლეზე.
აღნიშნულია *Agropyrum ramosum* Rich. *Deschampsia caespitosa* P. B.
და ხორბლოვნებზე.

ოჯახი III. GEOMETRIDAE

1. *Hemithea strigata* Esp.

იენისი. დღისით, ცეღვის დროს.
გვხვდება *Prunus spinosa* L. *Quercus*-ზე.

2. *Acidalia polytata* Hb.

იენისი. სინათლეზე.

3. *Acidalia inornata* Hw.

იენისი. სინათლეზე.
აღნიშნულია ბალახმცენარეებზე.

4. *Lythria purpuraria* L.

იენისი. სინათლეზე და დღისით ცეღვის დროს.
გვხვდება *Rumex acetosa* L., *Polygonum aviculare* L.-ზე.

5. *Tephroclystia breviculata* Donz.

იენისი. სინათლეზე.
გვხვდება ხეებზე, ბუჩქებზე და ბალახმცენარეებზე. აზიანებს ნაყოფის ყუნწებს.

6. *Phasiane glarearia* L.


იენისი. სინათლეზე.

7. *Larentia bilineata* L.

ნოემბერი. სინათლეზე, დღისით ცეღვის დროს.
გვხვდება *Rumex acetosa* L. *Taraxacum officinalis* Wg. *Potentilla reptans* L.-ზე.

8. *Boarmia repandata* L.

იენისი. სინათლეზე.
აღნიშნულია *Vaccinium myrtillus* L. *Rubus*, *Genista*, *Salix*, *Betulae*.
Jasminum-ზე.



9. *Boarmia orhomboidaria* Lch.

იენისი. სინათლეზე. პოლიფაგია.
გვხვდება ხეხილის ხეებზე.

10. *Ptichopoda ochrata* Sc.

იენისი. სინათლეზე.
გვხვდება *Astrantia maxima* Pall.-ზე.

ოჯახი IV. SYNTOMIDAE

1. *Syntomis phegea* L.

იენისი. ბალახმცენარეებზე (*Plantago major* L. *Rumex acetosa* L. *Leontodon*, *Taraxacum officinale*. Wgg).

ოჯახი V. ARCTIIDAE

1. *Costinia striata* L.

იენისი. *Paliurus spina* Chris-ის ყვავილებზე.
გვხვდება *Artemisia*, *Plantago major* L. *Erica*-ზე.

2. *Arctia hebe* L.

აპრილში შეგროვილი იყო მატლები რძიანაზე.
გვხვდება აგრეთვე *Artemisia vulgaris* L. *Achilea millefolium* L. *Astrantia maxima* Pall. *Amarantus retroflexus* L.

ოჯახი VI. ZYGAENIDAE.

1. *Zygaena purpuralis* Br.

იენისი. ბალახმცენარეებზე. (*Veronica*, *Pimpinella saxifraga* L. *Carrum carvi* L. *Trifolium medium* L.)

ოჯახი VII. COSSIDAE

1. *Cossus cossus* L.

იენისი. სინათლეზე.
ზიანებს *Malus domestica* Borch. *Juglans regia* L. *Acer*, *Populus*, *Morus alba* L. *Fraxinus excelsior* L, *Corylus*, *Quercus*, *Platanus*, *Salix*, *Alnus*, *Betulae*, *Ulmus foliacea* Gilib.

